25 თებერვალი - 2 მარტი
ფასი 1 ლარი 70 თეთრი

# ახალი განათლება

№8 (722) გამოდის 1998 წლიდან
www.axaliganatleba.ge



გვერდი 2

## „ყველა პროექტი მნიშვნელოვანია და მომავალშიც უწყვეტად გაგრძელდება“

აცხადებს „ახალი განათლებისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე

## სწავლებისა და სწავლის საერთაშორისო კვლევა




გვერდი 6

ქართული კალიგრაფია



გვერდი 8

## მისი ნაწერი განძად დაშთების

პროფესიული განვითარება



გვერდი 4

## როგორ მოვიპოვოთ მასწავლებლობის უფლება

CMYK

ინტერვიუ მინისტრთან

# ყველა პროექტი მნიშვნელოვანია და მომავალშიც უწყვეტად გაგრძელდება

***ზოგად და უმაღლეს განათლებაში გასულ წელს განხორციელებული მნიშვნელოვანი აქტივობებისა და პროექტების შესახებ საუბრობს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე***



**– ქალბატონო თამარ, 2015 წელს თქვენ პედაგოგების წელი უწოდეთ და აღნიშნეთ, რომ *„ის საკითხები, რომლებიც ჯერ კიდევ გადასაჭრელი დაგვრჩა, უნდა გადავჭრათ აუცილებლად ერთად იმიტომ, რომ პედაგოგს დასჭირდება სახელმწიფოს მხრიდან რეალური ხელშეწყობა, პროფესიას დასჭირდება დაფასება“*. მართლაც, 2015 წელი პედაგოგებისთვის ბევრი სიახლით დაიწყო და მათთვის ახალი სქემის დანერგვა ყველაზე სენსიტიურ თემად იქცა. როგორ შეაფასებთ ე.წ. „პედაგოგის“ წელს?**

– 2015 ერთგვარი გამოწვევის წელი იყო. რეალურად 2013-14 წლებში დაგეგმილი სიახლეების განხორციელება დავიწყეთ. წინა წლებში სისტემა სრულად შევაფასეთ და შევიმუშავეთ სტრატეგია, რომლის მიხედვითაც მუშაობას ვაგრძელებთ. სისტემურ ცვლილებებსაც ვგულისხმობ, რომელთაგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, პედაგოგთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის შემუშავებაა. ამ სისტემაში მოვაქციეთ პედაგოგიური განათლების რეგულაციის საკითხები, უმაღლესი განათლების კომპონენტიდან დაწყებული, მასწავლებელთა პროფესიაში შესვლის და მათი შეფასების კრიტერიუმებით დასრულებული. შეფასების სისტემა, სერტიფიცირებაზე ბევრად ეფექტურია. ამ სისტემაში მოვაქციეთ სახელფასო პოლიტიკაც, რაც უმნიშვნელოვანესია, რადგან სახელფასო პოლიტიკის დარეგულირების გარეშე, რეფორმის ეფექტურობაზე საუბარიც ზედმეტია.

სახელმწიფომ გამოყო დამატებითი ფინანსური სახსრები მასწავლებელთა ანაზღაურებისთვის, რომელიც, ახალი სქემის ფარგლებში, სამ ეტაპად განისაზღვრება: 2015-2016 სასწავლო წელს მასწავლებლის საბაზო ხელფასი 2-ჯერ გაიზრდება და, არსებულთან შედარებით, 34%-ით მოიმატებს. მომდევნო ზრდა 2016-2017 სასწავლო წელს განხორციელდება, რაც, საბოლოო ჯამში, საქართველოში არსებულ საშუალო ანაზღაურებას გაუთანაბრდება, ხოლო მაღალი სტატუსის მასწავლებლებისთვის ბევრად გადააჭარბებს.

**– რომელია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელებული აქტივობებიდან და პროექტებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი? ან რისი განხორციელება ვერ მოხერხდა?**

– სამინისტროსთვის ყველა პროექტი მნიშვნელოვანია და მომავალშიც უწყვეტად გაგრძელდება. რაც შეეხება აქტივობებს, როგორც ზოგად, ასევე პროფესიულ და უმაღლეს განათლების სფეროში არაერთი პროექტი განხორციელდა.

მსოფლიო ბანკის ბოლო მონაცემებით, საქართველოში, ზოგად განათლებაზე ოჯახის წლიური დანახარჯი 60%-ით შემცირდა. უმნიშვნელოვანეს პროექტს წარმოადგენს უფასო სახელმძღვანელოების პროექტი – 2013 წლიდან დღემდე, პროგრამის ფარგლებში, საჯარო სკოლების ყველა მოსწავლეს და კერძო სკოლის გარკვეულ კონტინგენტს 35 მლნ ლარზე მეტი ღირებულების 12 მილიონამდე სასკოლო სახელმძღვანელო და რვეული აქვს მიღებული. ამ სასწავლო წელსაც, სამინისტრომ სახელმძღვანელოებით ნახევარ მილიონამდე მოსწავლე უზრუნველყო. უფასო სასკოლო ავტობუსების პროგრამის შედეგად, მოსწავლეთა დასწრების მაჩვენებელი 95%-ს აჭარბებს. 2015 წლისათვის პროგრამაში 1150 საჯარო სკოლა ჩაერთო და ავტობუსებით მომსახურების სერვისით 60 000-ზე მეტი მოსწავლე სარგებლობს. თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მყოფი არასრულწლოვანი მოსწავლეები სახელმწიფოს მხრიდან სრულად არიან უზრუნველყოფილი სასწავლო რესურსებით. 2013-2015 წლებში, დაწესებულებაში მყოფებიდან ექსტერნატის გამოცდები 36-მა დაძლია, გამოსაშვები გამოცდები – 16-მა, ხოლო ეროვნული გამოცდები – 8 მსჯავრდებულმა და ბრალდებულმა. რაც შეეხება ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსწავლეებს, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით, 2013-დან 2015 წლის ჩათვლით, სახელმწიფომ 318 000 ლარი გამოყო, რაც გალელი პედაგოგების გადამზადებასა და აბიტურიენტების ეროვნული გამოცდებისათვის მომზადებას ითვალისწინებს. სამინისტრომ წარმატებით დაასრულა სკოლების ინტერნეტიზაციაც. ძალიან მნიშვნელოვანი იყო მეწარმეობის საკითხების შეტანა როგორც ზოგადი, ასევე პროფესიული განათლების დონეზე, რაც წარმატებით განხორციელდა. თუმცა, სიახლეა და ყურადღებით ვადევნებთ თვალს. ვფიქრობ, ეს კომპონენტი დასახვეწი და გასავითარებელი იქნება მომავალში.

მნიშვნელოვანი მიღწევები გვაქვს ინკლუზიური განათლების განვითარების კუთხით. სკოლისა და პროფესიული განათლების დონეზე, მოწესრიგდა პედაგოგთან, დამხმარე პერსონალთან, რესურსებთან და ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული საკვანძო საკითხები, რაც საშუალებას იძლევა, მოვემსახუროთ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებსა და სტუდენტებს.

ევროკავშირის საბიუჯეტო დახმარების ფარგლებში, მთლიანად შეიცვალა პროფესიული განათლების კონცეფცია. სახელმწიფო დღეს სრულად აფინანსებს პროფესიულ განათლებას საჯარო დაწესებულებებში. შეიცვალა დაფინანსების სისტემა. სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, დამსაქმებლების ჩართულობით, შემუშავდა და დამტკიცდა ახალი, თანამედროვე სტანდარტები. სტანდარტების შესაბამისად მომზადდა მოდულური პროგრამები, რომლის დანერგვაც უკვე მიმდინარეობს და 2017 წლიდან სრულად გადავალთ მოდულურ სწავლებაზე. ამისათვის მოწესრიგდა ინფრასტრუქტურა, გადაიარაღდა სახელოსნოები. წინა პლანზე წამოიწია პრაქტიკული მეცადინეობა და საწარმოო პრაქტიკა. მიმდინარეობს ახალი პროფესიული სასწავლებლების დაფუძნების პროცესი. ჯერჯერობით ვერ მოვასწარით ახალი კანონის პარლამენტში შეტანა, რომლითაც უნდა დასრულდეს დაწყებული რეფორმა, აღმოიფხვრას საგანმანათლებლო ჩიხები და ა.შ.

სამინისტროს მხრიდან განხორციელებულია ათობით სხვა პროექტი, ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია. მაგალითად, მოსწავლეებში კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის, ლიდერული უნარ-ჩვევების, ტოლერანტობისა და სხვა ღირებულებების ჩამოყალიბებისთვის სამინისტრო ახორციელებს საზაფხულო სკოლების პროგრამას, რომელიც გულისხმობს სასწავლო ოლიმპიადებსა და სხვადასხვა საგანმანათლებლო კონკურსებში მონაწილე მოსწავლეების, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების მოკლევადიანი ვიზიტებით გაგზავნას უცხოეთის სასწავლო ცენტრებსა და ლაბორატორიებში. პროგრამის განსახორციელებლად, 2013-2015 წლებში, სახელმწიფომ 3 165 000 ლარი გამოყო. სამინისტრო უზრუნველყოფს ასევე ეროვნულ ოლიმპიადებში გამარჯვებული მოსწავლეების საერთაშორისო ოლიმპიადებში მონაწილეობას. 2015 წელს გადაიჭრა მცირეკონტინგენტიანი სკოლების პრობლემაც, რომელიც კლასკომპლექტებს უკავშირდება. გაეროს ბავშვთა ფონდის ხელშეწყობით, მომზადდა „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების“ კანონპროექტი.

სახელმწიფოს მიერ სრულადაა შესწავლილი საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მდგომარეობა და გადაუდებელი საჭიროებების გათვალისწინებით შემუშავებულია ხუთწლიანი გეგმა. აშშ-ის ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მეორე კომპაქტის ფარგლებში, მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში, საქართველოს რეგიონებში, დაგეგმილია 100-მდე საჯარო სკოლის რეაბილიტაცია, რომლის ბიუჯეტი 54 მლნ აშშ დოლარია. აქტიურად მიმდინარეობს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების სკოლების რეაბილიტაციის პროცესიც.

**– რა სახის საკანონმდებლო ცვლილებები შევიდა უმაღლესი განათლების შესახებ კანონში?**

– 2015 წლის დეკემბერში საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი ითვალისწინებს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარებას სამი ძირითადი მიმართულებით: უნივერსიტეტებში სამეცნიერო კომპონენტის გაძლიერება, ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან ინტეგრაცია და მასწავლებლის მომზადების სისტემის გაუმჯობესება. მოკლედ მოგახსენებთ თითოეული მათგანის შესახებ.

როგორც მოგეხსენებათ, 2010 წელს სსიპ სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების დიდ ნაწილს შეეცვალა სამართლებრივი სტატუსი და ისინი შეუერთდა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, თუმცა ამ შეერთებას, ძირითადად, მექანიკური ხასიათი ჰქონდა და პოზიტიური შედეგები ვერ მოგვცა. არ არსებობდა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა და სამართლებრივი მექანიზმები იმისათვის, რომ მომხდარიყო სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ჩართვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობაში – მართვაში, სწავლებასა და დოქტორანტების მომზადების, მომავალი მეცნიერების აღზრდის საქმეში. სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები და მათი პერსონალი, მცირე გამონაკლისის გარდა, შესაბამისი იურიდიული სტატუსის, ფუნქციებისა და უფლებების გარეშე დარჩა.

განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით გვარდება ზემოთ აღნიშნული პრობლემები – სამეცნიერო-კვლევითი ერთეულები ხდებიან უნივერსიტეტების სრულუფლებიანი სტრუქტურული ერთეულები, შესაბამისი სტატუსით, ფუნქციებითა და უფლებებით. ახალგაზრდების მეცნიერებაში მოსაზიდად შემოდის პოსტ-დოქტორანტის სტატუსი. მკვიდრდება მეცნიერის სტატუსი და მეცნიერები, უახლეს მომავალში, მონაწილეობას მიიღებენ როგორც უნივერსიტეტის მართვის ორგანოების მუშაობაში, ისე მომავალი თაობის და განსაკუთრებით მომავალი მეცნიერების აღზრდის პროცესში, ანუ ჩვენ შევქმენით იურიდიული საფუძვლები ჩვენს ქვეყანაში არსებული მატერიალური და ადამიანური რესურსების, რაც მთავარია, სამეცნიერო პერსონალის მაქსიმალურად ეფექტურად გამოყენებისთვის, რაც განათლების ხარისხის გაუმჯობესების ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა.

რაც შეეხება უმაღლესი განათლების სისტემის ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან ჰარმონიზაცია-ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობას, ეს არის როგორც ერთიან დასავლურ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის, ისე სწავლებისა და კვლევის ხარისხის გაუმჯობესების საშუალება. აქედან გამომდინარე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში არსებული ტენდენციების გათვალისწინებას და საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციას ევროპულ ანალოგებთან, რისი ვალდებულებაც ქვეყანას ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებშიც აქვს. დღეისათვის განსაკუთრებით აქტუალური და პრიორიტეტულია, ერთიანი ევროპული საგანმანათლებლო სივრცის ფარგლებში, არა მხოლოდ ევროკავშირის წევრი, არამედ მისი პარტნიორი ქვეყნების უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება და ერთობლივი აკადემიური ხარისხის მინიჭება. აღნიშნული ტენდენციის ხელშეწყობას ემსახურება ევროკომისიის პროგრამის „ერაზმუს+“ ერთ-ერთი მიმართულება, რაც იმას ნიშნავს, რომ არსებობს ზემოთ აღნიშნული ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება-განხორციელებისთვის დამატებითი თანხების მოძიების რეალური წყარო.

აღსანიშნავია, საქართველოს კანონმდებლობა აქამდე არ ცნობდა ერთობლივი აკადემიური ხარისხის ცნებას (joint degree), რაც შეიძლებოდა სერიოზული ბარიერი გამხდარიყო საერთაშორისო თანამშრომლობის გასაღრმავებლად და უმაღლესი განათლების სისტემის განვითარებისთვის აუცილებელი დამატებითი თანხების მოსაზიდად.

აღნიშნული საკითხის მოგვარების მიზნით, კანონმდებლობით განისაზღვრა უცხო ქვეყნის კანონმდებლობით აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების და ერთობლივი აკადემიური ხარისხის მინიჭების შესაძლებლობა.

მოკლედ მოგახსენებთ მასწავლებლის მომზადების სისტემის სრულყოფის შესახებაც. 2015 წლის 20 თებერვალს, საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილება №68 „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“, რომელიც მომზადდა საქართველოს ზოგადი განათლების სფეროში არსებული პრობლემების გადაჭრის მიზნით და შემოგვთავაზა მთელი რიგი ცვლილებები, მათ შორის მასწავლებლის მომზადების განსხვავებული მოდელის დანერგვა – დივერსიფიცირებული რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამების მომზადება-განხორციელება, ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო სწავლება, რომელიც 300 კრედიტს მოიცავს და რომელშიც განსაკუთრებით გაძლიერებული იქნება მეთოდოლოგიური და პრაქტიკული ასპექტები.

ამ დადგენილების განხორციელების მიზნით, საქართველოს კანონმდებლობით განისაზღვრა სკოლამდელი, დაწყებითი, საბაზო/საშუალო, სპეციალური საჭიროების, სახელოვნებო/სასპორტო საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის მომზადებისთვის საჭირო საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი და მოცულობა (კრედიტები).

ათასწლეულის კორპორაციის მეორე კომპაქტის ფარგლებში, უპრეცედენტო პროექტი განხორციელდა. საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში შემოვიდა სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანესი მიმართულების საბაკალავრო პროგრამების განსახორციელებლად. ეს არის უნიკალური შანსი ქართველი სტუდენტებისათვის, რომ ამერიკული დიპლომი მიიღონ აქ, საქართველოში. სამი სახელმწიფო უნივერსიტეტის – თსუ, ილიაუნი და ტექნიკური უნივერსიტეტი – ბაზაზე სან დიეგოს უნივერსიტეტმა უკვე დაიწყო მუშაობა. სახელმწიფოს თანამონაწილეობით, ფინანსური სქემა ისე დალაგდა, რომ ამ პროგრამებზე სტუდენტის

## ინტერვიუ მინისტრთან

მიერ გადასახდელი სრული თანხა სამჯერ ნაკლებია ამავე პროგრამების ღირებულებაზე სან დიეგოში. ამის გარდა, სტუდენტების თითქმის 20% იღებს სრულ ან ნაწილობრივ სტიპენდიას. რეალურად, ამ პროექტით, ჩვენს უნივერსიტეტებში ახალი სტანდარტი დაინერგა. ამავდროულად, მიმდინარეობს ჩვენი უნივერსიტეტების ინსტიტუციური გაძლიერება იმისათვის, რომ მათაც შეძლონ სამომავლოდ საერთაშორისოდ აკრედიტებული პროგრამების განხორციელება საბუნებისმეტყველო, საინჟინრო და ტექნიკურ მიმართულებებში.

მნიშვნელოვანია ასევე სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამა, რომლის ფარგლებში, 2013 წლიდან, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისთვის, გაფორმდა მრავალწლიანი ხელშეკრულებები, დაახლოებით, 20 მლნ ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხა გამოიყო შვიდი სახელმწიფო უმაღლესი სასწავლო დაწესებულების სარეაბილიტაციო პროექტების დასაფინანსებლად.

უმაღლესი განათლების ხარისხის გაუმჯობესებისა და ევროპულ სივრცესთან ინტეგრაციის ხელშეწყობისათვის, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი შედეგსა და განვითარებაზე ორიენტირებულ სისტემაზე გადადის, რისთვისაც ავტორიზაცია-აკრედიტაციის სტანდარტები შეიცვლება. ხარისხის გარე უზრუნველყოფის განახლებული სისტემა გულისხმობს საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსობრივ ანალიზს დარგობრივი მახასიათებლების საფუძველზე და შეფასების პროცესში უცხოელი ექსპერტების ჩართულობას.

განათლების ხარისხის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი გახდა უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების ევროპული ქსელის – ENQA-ს აფილირებული წევრი, ხოლო გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამის (UNDP) დაფინანსებით, ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების ავტომატიზაციის პროექტი – „განათლების ხარისხი და ელექტრონული მართვის პროექტი“.

უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის ხელშესაწყობად ხორციელდება მნიშვნელოვანი პროგრამები და საკანონმდებლო ინიციატივებიც. კანონმდებლობით განსაზღვრულია უცხოეთის წამყვან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისა და ერთობლივი, ორმაგი/მრავლობითი აკადემიური ხარისხის მინიჭების შესაძლებლობები, რაც ექსპერტთა აზრით, ხელს შეუწყობს უმაღლესი განათლების მიმართ ნდობის ამაღლებასა და მისი კონკურენტუნარიანობის ზრდას.

**– 2013 წლიდან სახელმწიფომ 17 საბაკალავრო პრიორიტეტული მიმართულება განსაზღვრა, შემდგომში ეს მიმართულებები 21-მდე გაიზარდა, რომელთა დაფინანსებას სრულად უზრუნველყოფს. რამ გამოიწვია ამის აუცილებლობა?**

– ზოგადად, უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის გასაზრდელად, 2013 წლიდან, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ რიგი ღონისძიებები გაატარა. შრომის ბაზრის მოთხოვნებიდან და არსებული პრიორიტეტებიდან გამომდინარე, განისაზღვრა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატის პროგრამული მიმართულებები, რომლებშიც სტუდენტის სწავლის საფასურს სახელმწიფო სრულად აფინანსებს. პროგრამის მიზანია ხელმისაწვდომობის ზრდა და სახელმწიფო უნივერსიტეტების პროგრამული დაფინანსების ხელშეწყობა. მართალია, პირველ ეტაპზე, 17 პრიორიტეტული მიმართულება განისაზღვრა, მაგრამ დღეისათვის 21 მიმართულება ფინანსდება, ამ ხარჯსაც სახელმწიფო სრულად ფარავს. მნიშვნელოვანი ზრდა განხორციელდა სახელმწიფო სტიპენდიების პროგრამასთან მიმართულებითაც. წინა წლებთან შედარებით, სტიპენდიანტი სტუდენტების რაოდენობა გაორმაგდა და 2.6-ჯერ გაიზარდა დახარჯული თანხების მოცულობა. მოქმედებს სტუდენტთა საბაკალავრო და სამაგისტრო საგრანტო დაფინანსება, სოციალური პროგრამების ფარგლებში. წინა წლებთან შედარებით, სოციალური პროგრამების ფარგლებში დაფინანსებული სტუდენტების რაოდენობა გასამმაგდება.

**– რას გვეტყვით სამეცნიერო პერსონალის ატესტაციის შესახებ?**

– ერთ-ერთმა ტელეკომპანიამ, ამ თემის გაშუქებისას, დიდი შეცდომა დაუშვა. არხზე გავიდა სიუჟეტი უმაღლესი განათლების შესახებ უკვე დამტკიცებულ კანონზე. თუმცა, ტელეკომპანიამ იმგვარად წარმოაჩინა, თითქოს აღნიშნულ კანონს ამჟამად კანონპროექტის სახე აქვს. მიღებულ კანონს წამყვანმა რამდენჯერმე კანონპროექტი უწოდა. ასევე დეზინფორმაციას წარმოადგენდა ისიც, თითქოს კანონი აკადემიური პერსონალის ტესტირებას ითვალისწინებს.

რეალურად, კანონში გამოყენებულია ტერმინი „ატესტაცია“ და არა „ტესტირება“ (იხ. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის გ1 პუნქტი). ეს ნიშნავს, რომ სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების თანამშრომლები ატესტაციას გაივლიან, კონკურსის ნაცვლად, იმისათვის, რომ კანონმდებლობის შესაბამისად დაიკავონ თანამდებობები (იხ. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 372-ე მუხლი). ხოლო საუნივერსიტეტო სივრცეში ატესტაცია შეეხება პროფესორს, რომელიც იმავე საკანონმდებლო ცვლილებებით, მუდმივ პოზიციას დაიკავებს (იხ. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლი). კანონის თანახმად, ატესტაცია 5 წელიწადში ერთხელ, არჩევნების ნაცვლად, ჩატარდება, კრიტერიუმებს თავად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება დაამტკიცებს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ აუცილებლად ჩათვალა ინფორმაციის დაზუსტება, რადგან აღნიშნულმა სიუჟეტმა ისეთი შეკითხვების პროვოცირება მოახდინა, რომელსაც აღნიშნულ კანონთან არავითარი კავშირი არ აქვს.

მნიშვნელოვანია, რომ მეცნიერების მიმართულებით არსებული ვითარება დეტალურად ჯერ კიდევ 2013 წლის ბოლოს შევისწავლეთ. რეალურად, წინ იმდენად წავიწიეთ, რომ საშუალება მოგვეცა, განგვესაზღვრა, რა საკანონმდებლო ცვლილებების გატარება იყო აუცილებელი ამ სფეროს განვითარებისთვის. დაახლოებით 3-ჯერ გაიზარდა მეცნიერების დაფინანსება, გაიზარდა მეცნიერთა ხელფასიც. დავიწყეთ, ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოსაწესრიგებლად, ინვესტიციის განხორციელება. 2015 წლის ჩათვლით, 34 მილიონი ლარი მივმართეთ უმაღლესი სასწავლებლების შემადგენლობაში არსებული კვლევითი ინსტიტუტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღდგენისთვის. პარალელურად, შევიმუშავეთ მეცნიერების მართვის მექანიზმები, რისთვისაც საკანონმდებლო ცვლილებებიც განხორციელდა და უკვე გვაქვს კანონი, რომელიც შესაბამის შედეგებზე გაგვიყვანს. ყველა მიმართულებით განვითარებისკენ მივდივართ, რაც ძალიან კარგია.

**– მომავალ წელს იგეგმება სახელმძღვანელოების გრიფირების წესის შეცვლა. რა ცვლილებებს გულისხმობს ახალი გრიფირების წესი და რა ბედი ეწევა უკვე გრიფირებულ სახელმძღვანელოებს?**

– საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ ეროვნულ სასწავლო გეგმაში და, შესაბამისად, სასკოლო სახელმძღვანელოებში გარკვეული ხარვეზები არსებობდა, ამიტომ 2014 წლიდან, დავიწყეთ წამყვანი ქვეყნების ეროვნულ სასწავლო გეგმებთან შედარება და გაანალიზება. მოვიწვიეთ ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტებიც, რომლებმაც რეკომენდაციები დაწერეს. უკვე დასრულებულია I-VI კლასების ეროვნული სასწავლო გეგმა, მალე დასრულდება საბაზო საფეხურის რევიზიაც. პარალელურ რეჟიმში, მიმდინარეობდა გრიფირების ახალი წესის შემუშავებაც, რადგან წინა წესი, რბილად რომ ვთქვათ, არასახარბიელო იყო. თავის სახელს თუ დავარქმევთ, ეს საქმე პროკურატურაში დევს, იმდენად გაუმართავი იყო სისტემა. კითხვები რომ არ გაჩენილიყო და პროცესი გამჭვირვალედ წარმართულიყო, საჭირო იყო გრიფირების წესის სათანადო დონეზე დამუშავება. სპეციალური კომისია, რომლის შემადგენლობაშიც სხვადასხვა უწყების წარმომადგენლები შედიან, ტექნიკურ პარამეტრებზე, წიგნის ღირებულებაზე, შრიფტზე, სტანდარტზე, ყველა დეტალზე მუშაობს. მალე I-VI კლასების სახელმძღვანელოებზე გამოვაცხადებთ გრიფირებას. ახალი სახელმძღვანელოები, სავარაუდოდ, მომდევნო აკადემიური წლის მეორე სემესტრისთვის გვექნება და პილოტირებისთვის გამოვიყენებთ.

**– „2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონპროექტით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის გამოყოფილი ასიგნებები, 2012 წელთან შედარებით, 55,6 პროცენტით იზრდება. რას მოხმარდება გაზრდილი ბიუჯეტი? რა იქნება უმთავრესი პრიორიტეტი 2016 წლისთვის?**

– ბიუჯეტი მოხმარდება ინფრასტრუქტურის განვითარებას, სახელმძღვანელოების მომზადებას, პედაგოგთა ხელფასის ზრდას და ამ სქემის შემდგომ განხორციელებას, მეცნიერების გაზრდილი დაფინანსების შენარჩუნებას, უმაღლეს განათლებაში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის რეაბილიტაციას, ახალი ინსტიტუციური აკრედიტაციის და ახალი სტანდარტებით უნივერსიტეტების ხარისხის მონიტორინგის განხორციელებას და ყველა იმ პროექტის განხორციელებას, რაც სამინისტროს მიერაა შემუშავებული. მნიშვნელოვანია, საერთაშორისო-სამეცნიერო თანამშრომლობაც – ვხდებით უმსხვილესი ფონდის – „ჰორიზონტი 20-20“-ის წევრი, საიდანაც სამეცნიერო პროექტებისთვის დაფინანსების მოძიებას შევძლებთ.

ესაუბრა ლალი ჯელაძე

## ინფორმაცია

# მეწარმეობის პედაგოგთა ფორუმი



ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის მოსწავლეებში სამეწარმეო უნარების განვითარების მიზნით, განახლებული სტანდარტის საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან ერთად, ახალი სახელმძღვანელო შეიმუშავა როგორც მოსწავლის, ისე მასწავლებლის კომპონენტით.

ზემოაღნიშნული საგანი, ამ ეტაპზე, არჩევით საგანთა ნუსხაშია და 2015-2016 სასწავლო წლიდან, განახლებული პროგრამით, საქართველოს სხვადასხვა რეგიონის 221 საჯარო სკოლაში გადის დანერგვის ეტაპს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში მეწარმეობის საგნის მასწავლებლებთან სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრის მიზანი იყო პრაქტიკოსი პედაგოგებისაგან ინფორმაციის მიღება კურსის დანერგვასთან დაკავშირებით, თუ რამდენად სწორად მიდის პროცესი, რა გამოწვევების წინაშე დგანან მასწავლებლები, კიდევ რა ტიპის მხარდაჭერა სჭირდებათ სამინისტროსა და პრაქტიკოსი ბიზნესმენების მხრიდან, რათა მეწარმეობის საგნის სწავლების კურსი იყოს ეფექტური და შედეგზე ორიენტირებული.

არჩევითი საგანი „მეწარმეობის საფუძვლები“ მოსწავლეებს დაგეგმვისა და ორგანიზების უნარ-ჩვევას უვითარებს, ასევე ეხმარება არჩევანის გაკეთებაში იმასთან დაკავშირებით, როგორ გადაიქცეს იდეა კონკრეტულ საქმიანობად, რომელმაც მომავალში შეიძლება მოუტანოს როგორც შემოსავალი, ასევე მისცეს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზების, თვითგამოხატვისა და თვითდასაქმების საშუალება, საგანი დაეხმარება მოსწავლეებს სწორი გადაწყვეტილების მიღებაში პროფესიის არჩევასთან დაკავშირებით.

საქართველოს მთავრობის ინიციატივით, სკოლებში მეწარმეობის განვითარებისა და ამ საგნის სწავლების შემოღების მიზნით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სავაჭრო-სამრეწველო პალატის კოორდინირებული მუშაობით, მთელი რიგი სამუშაოები ჩატარდა – მეწარმეობის საგანში შემუშავდა სტანდარტი, შემდეგ გამოცხადდა კონკურსი სახელმძღვანელოზე, შეირჩა სახელმძღვანელო. სავაჭრო პალატამ დააფინანსა სახელმძღვანელოს მომზადება და რესურსების ბეჭდვა, მომზადდნენ მასწავლებლები.

**თამარ სანიკიძე**: *„მეწარმეობის საფუძვლების“ პილოტირება, ერთი წლის განმავლობაში, 221 სკოლაში მიმდინარეობდა. ძალიან მნიშვნელოვანია, ამ ეტაპზე, ვნახოთ როგორ მიმდინარეობს სწავლება და შევხვდეთ იმ ადამიანებს, ვინც ამას პრაქტიკულად ახორციელებენ. ძალიან საინტერესო და საჭირო საგანია, უფრო მეტიც, ვფიქრობთ, რომ ეს ელემენტები ეროვნულ სასწავლო გეგმაში უნდა იყოს, თუნდაც სასწავლო საკითხებად დაშლილი.*

*ძალიან კარგი შედეგი აჩვენა მეწარმეობის კომპონენტის შეტანამ და მოდულმა პროფესიულ განათლებაში, იმიტომ რომ, ბოლო ორი წლის განმავლობაში, დასაქმების მაჩვენებელი და მეწარმეთა – კურსდამთავრებულთა – რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა. აქედან გამომდინარე, ადრიდანვე ახალგაზრდების მომზადება ამ მიმართულებით ქვეყნისთვის მართლაც მნიშვნელოვანია, საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის. ეს ის საჭირო უნარებია, რომლებსაც უნდა ფლობდეს ახალგაზრდა, რომელიც შრომის ბაზარზე გამოდის.*

*პირველი, რაც უნდა გავაკეთოთ, უნდა შევაფასოთ როგორ მიდის სწავლება და რა შედეგებზე გავდივართ და მეორე, ამ შედეგებზე დაყრდნობით, მივიღოთ გადაწყვეტილება, რა ელემენტები იყოს ამ საგნებში სავალდებულო და რა – არჩევითი და ა.შ. რა თქმა უნდა, ნებისმიერ სიახლეს ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ, შედეგები თავიდანვე უნდა იყოს გაზომილი და გარანტირებული“.*

**ნინო ჩიქოვანი**, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტი: *„ეს პროექტი პრემიერ-მინისტრის ინიცირებულია და გულისხმობს დამამთავრებელ კლასებში სამეწარმეო საფუძვლების სწავლების, როგორც საპილოტე არჩევითი საგნის, შეტანას. ამ პროექტის ფარგლებში, განათლების სამინისტროსა და სავაჭრო-სამრეწველო პალატას შორის გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი. გამოცხადდა კონკურსი სახელმძღვანელოს შექმნაზე და საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატამ დააფინანსა აღნიშნული სახელმძღვანელოს ბეჭდვა და რესურსების გამოცემა როგორც მასწავლებლებისთვის, ასევე მოსწავლეებისთვის.*

*მინდა აღვნიშნო, რომ იმდენად მაღალი იყო ინტერესი ამ საგნის მიმართ, რომ, საქართველოს მასშტაბით, პროექტით გათვალისწინებული 100 სკოლის ნაცვლად, 221-მა აირჩია ეს საგანი, არჩევითი საგნის ფარგლებში და მიმდინარეობს სწავლება“.*

პროფესიული განვითარება

# როგორ მოვიპოვოთ მასწავლებლობის უფლება გაზრდილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების ფონზე

*მასწავლებლის პროფესიაში შესვლა ახალი სქემის მიხედვით გართულებულია, ნებისმიერი კვალიფიკაციის მქონე ადამიანს არ შეუძლია გახდეს მასწავლებელი. მასწავლებლის მომზადების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა პროფესიაში შესვლის დივერსიფიცირებულ გზებს განსაზღვრავს. ერთ-ერთი გზა საუნივერსიტეტო განათლებაა, რომელიც მასწავლებლის მომზადებას მიმდევრობითი და პარალელური პროგრამებით განახორციელებს. რას გულისხმობს ეს პროგრამები, რა გზები არსებობს მსურველებისთვის პროფესიაში შესასვლელად და ვის შეუძლია მასწავლებლობის უფლების მოპოვება, ამის შესახებ გვესაუბრება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტ-კონსულტანტი* ***სოფიკო ლობჟანიძე***



**– ახალი სქემის მიხედვით, მასწავლებლის პროფესიაში შესვლა გართულდა. როგორია გზა, რომელიც მასწავლებლობის მსურველმა უნდა გაიაროს?**

– ახალი სქემის ამოქმედებამდე, ნებისმიერ მსურველს, ვისაც ბაკალავრის ხარისხი ჰქონდა, შეეძლო მასწავლებლად მუშაობის დაწყება, შემდგომში კი მასწავლებლობის უფლებას სერტიფიცირების გამოცდით ამყარებდა, გამონაკლისს წარმოადგენდა სახელოვნებო და სასპორტო მიმართულებები. 2015 წელს კანონში „ზოგადი განათლების შესახებ“ შევიდა ცვლილება და ყურადღება მიექცა შემდეგს – სისტემას სჭირდება სასწავლო გეგმის შესაბამისი დარგის ბაკალავრის ხარისხის მქონე სპეციალისტი, რომელსაც, ასევე, გავლილი აქვს მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამა. როგორც ვხედავთ, მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები გაიზარდა, რამაც სისტემაში კადრების ხარისხობრივი და რაოდენობრივი დეფიციტი გააჩინა. რეალურად, პროფესიაში თვისობრივი დეფიციტია, განსაკუთრებით – რეგიონებში. ჩატარებული კვლევებით ირკვევა, რომ, ხშირად, რეგიონებში ერთი და იგივე მასწავლებელი რამდენიმე საგანს ასწავლის და არც ერთის სპეციალისტი არაა, საუკეთესო შემთხვევაში – მხოლოდ ერთის. სწორედ ამან შექმნა საჭიროება, რომ ყურადღება გაგვემახვილებინა არა მხოლოდ რაოდენობაზე, არამედ კვალიფიციურ მასწავლებელზე.

ხშირია შემთხვევები, როცა მასწავლებელი თავისი დარგის ძალიან კარგი სპეციალისტია, მაგრამ, სამწუხაროდ, არ იცის მეთოდოლოგია, როგორ ასწავლოს, როგორ შეაფასოს ან როგორ მართოს კლასი და ა.შ. არ იცის იმიტომ, რომ ეს უნივერსიტეტში არ უსწავლია. სწორედ ამიტომ იქცა ვალდებულებად მასწავლებლობის მსურველთათვის, მასწავლებელის მომზადების 60-კრედიტიანი პროგრამის გავლა. ეს პროგრამები უნივერსიტეტებში 2010 წლიდან არსებობს, დღეისათვის კი 12-მა უნივერსიტეტმა გამოთქვა მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ამოქმედების სურვილი. მაგრამ ეს პროგრამები მუშაობს, როგორც მაინორი პროგრამები – ბაკალავრიატის სტუდენტი მას ირჩევს, როგორც დამატებით სპეციალობას. სწავლის დასრულების შემდგომ, სტუდენტს, ბაკალავრის ხარისხის მინიჭებასთან ერთად, პროგრამის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი გადაეცემა. როგორც გითხარით, 60-კრედიტიანი პროგრამა უნივერსიტეტებში რამდენიმე წელია ისწავლება, თუმცა სტუდენტთა რაოდენობა, ამ მიმართულებით, არც თუ ისე დიდია.

ბაკალავრის დიპლომის მქონე კურსდამთავრებული, რომელსაც გავლილი აქვს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ან მის დიპლომში არის ჩანაწერი „პედაგოგი“), მხოლოდ საგნის გამოცდას აბარებს. მას შემდეგ, რაც საგნის კომპეტენციას დაადასტურებს, მასწავლებლის პროფესიაში შედის პირდაპირ უფროსი მასწავლებლის საფეხურზე, ანუ სკოლაში მასწავლებლად მუშაობას უფროსი მასწავლებლის სტატუსით დაიწყებს.

**– როგორია 60-კრედიტიანი პროგრამის ხანგრძლივობა და რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს მისი გავლის მსურველი?**

– მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შექმნისა და დანერგვის მიზანი სწორედ ის იყო, რომ უკვე დიპლომირებულ სპეციალიტს დამოუკიდებლად შეძლებოდა 60-კრედიტიანი პროგრამის გავლა. სამწუხაროდ, იმ პერიოდში, პროგრამაზე დამოუკიდებლად მიღება ვერ ამოქმედდა და მუშაობდა, როგორც საბაკალავრო კურსში ჩაშენებული მეორადი პროგრამა. უნივერსიტეტები სწორედ ახლა ამზადებენ პროგრამას საკრედიტაციოდ, რომ კურსდამთავრებულები 60-კრედიტიან პროგრამაზე მიიღონ. შესაბამისი დარგის ბაკალავრის ან მაგისტრის ხარისხის მქონე ადამიანს (უკვე დიპლომირებულ სპეციალისტს) შესაძლებლობა მიეცემა, დამოუკიდებლად გაიაროს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა და ამით მასწავლებლობის უფლება მოიპოვოს. თუმცა, 60-კრედიტიან პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კვალიფიკაციის გარდა (ის შესაბამისი დარგის ბაკალავრი უნდა იყოს), საგნის გამოცდის ჩაბარებაა, რადგან ამ პროგრამაზე საგანი არ ისწავლება. მასწავლებლის მომზადების პროგრამა, თავისთავად, გულისხმობს, რომ მსურველმა, რომელიც მასწავლებლის მომზადების პროგრამას გადის, საგანი უკვე იცის, საგნის კომპეტენცია დადასტურებული აქვს. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ 60-კრედიტიანი პროგრამის წინაპირობა საგნის გამოცდის ჩაბარებაა, პროგრამის ხანგრძლივობა კი – ერთი აკადემიური წელი.

**– რის საფუძველზე ხდება პროგრამაზე ჩარიცხვა და როგორი დაფინანსების წესი მოქმედებს?**

– პროგრამაზე ჩაბარება ეროვნული გამოცდის საფუძველზე ხდება, ანუ უნივერსიტეტები აცხადებენ კვოტებს, რაოდენობებს, რომელი მიმართულებით რამდენ სტუდენტს მიიღებენ. მას შემდეგ, რაც უნივერსიტეტები მისაღებ ადგილებს გამოაცხადებენ, მასწავლებლობის მსურველები ისეთივე წესით აირჩევენ პროგრამას, როგორც ეს ერთიანი ეროვნული გამოცდების შემთხვევაში ხდება. გამოცდის ჩაბარების შემდეგ კი, რანჟირებული წესით, ჩაირიცხებიან პროგრამაზე. რაც შეეხება დაფინანსების წესს, მასზე მუშაობა სწორედ ახლა მიმდინარეობს. სულ მალე გახდება ცნობილი ის მიმართულებები და სტუდენტების რაოდენობა, რომელსაც სახელმწიფო დააფინანსებს.

**– რა განსხვავებაა მოქმედი მასწავლებლის საგნის გამოცდასა და 60-კრედიტიან პროგრამაზე შემსვლელი მასწავლებლობის მსურველის საგნის გამოცდას შორის?**

– რასაკვირველია, განსხვავება არის – მოქმედი მასწავლებლისთვის განკუთვნილი საგნის გამოცდა ორი ნაწილისგან შედგება – საგანი და საგნის სწავლების მეთოდიკა, ხოლო დამწყები მასწავლებლისთვის განკუთვნილი საგნის გამოცდა არ შეიცავს მეორე ნაწილს, მეთოდიკას, რადგან მან სწორედ მეთოდიკა უნდა ისწავლოს მასწავლებლის მომზადების პროგრამით. ამიტომ, მათთვის საგნის გამოცდა ცალკე გამოცხადდება.

**– გამოდის, რომ მასწავლებლობის უფლების მოპოვება საკმაოდ იოლად შეიძლება წარიმართოს ბაკალავრის სტუდენტისთვის, თუკი ის მეორად სპეციალობად მასწავლებლის მომზადების პროგრამას აირჩევს...**

– ბაკალავრის სტუდენტს, რომელსაც ჯერ არ აქვს არჩეული მეორადი სპეციალობა, მის უნივერსიტეტში არის ზემოთ ხსენებული პროგრამა და იგი სწავლობს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი დარგის მიმართულებით, მეორად სპეციალობად შეუძლია მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა აირჩიოს.

იმ შემთხვევაში, როცა ბაკალავრის სტატუსის მქონე მასწავლებლობის მსურველს გავლილი აქვს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, მასწავლებლობის უფლების მოსაპოვებლად, მხოლოდ საგნის გამოცდის ჩაბარება სჭირდება. საგნის კომპეტენციის დადასტურების შემდეგ კი, სკოლაში, სქემის მიხედვით, ის უფროსი მასწავლებლის სტატუსით იწყებს მუშაობას.

თუმცა, დამწყებ მასწავლებელს ვალდებულება აქვს, ერთი წლის განმავლობაში, აუცილებლად გაიაროს გარე დაკვირვება, რომლის წარმატებით გავლის შემდეგ, უკვე მოეჭიდება პროფესიას. საგაკვეთილო დაკვირვება მოქმედი მასწავლებლისთვისაც სავალდებულოა, თუმცა, განსხვავება მხოლოდ ვადებშია – მოქმედ მასწავლებელს უფლება აქვს, ოთხი წლის განმავლობაში, გაიაროს საგაკვეთილო დაკვირვება, დამწყებ მასწავლებლებს კი, ეს ვადა ერთი წლით განესაზღვრათ.

**– რას ნიშნავს 300-კრედიტიანი პროგრამა? რამ განაპირობა მისი შექმნის აუცილებლობა და რა სიახლეს სთავაზობს ის მასწავლებლობის მსურველებს?**

– 300-კრედიტიანი პროგრამა ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო აკადემიური პროგრამაა, რომელიც სასკოლო პრაქტიკის კომპონენტის გაძლიერებას ემსახურება. საკმაოდ ამბიციური პროგრამაა, რადგან ისეთ კადრს ამზადებს, რომელიც პირდაპირ შედის პროფესიაში და თან უფროსი მასწავლებლის პოზიციას იკავებს. პროგრამის თეორიული კურსი გაჯერებულია სასკოლო პრაქტიკით, რომელიც სტუდენტს მართლაც აძლევს ყველა საჭირო უნარს და შესაბამის განათლებას, რაც მასწავლებლის პროფესიას სჭირდება – საორიენტაციო პრაქტიკიდან დაწყებული ფოკუსირებული პრაქტიკით დამთავრებული. მაგალითად, როცა სტუდენტი მოსწავლეთა შეფასების კურსს გადის, ის სკოლაში ამ კურსის ფარგლებში ჩაშენებულ პრაქტიკას გადის და ფოკუსირებულია მხოლოდ და მხოლოდ სტუდენტის შეფასებაზე. კლასის მართვისა და კომუნიკაციის კურსის გავლის შემთხვევაში კი, სტუდენტის პრაქტიკა მიმართულია იქითკენ, თუ როგორ შეიძლება კლასის ეფექტური მართვა ან რამდენად სწორად აკეთებს ამას მისი პრაქტიკის მასწავლებელი. სტუდენტი ამას ყველაფერს აფასებს და წერს რეფლექსიებს, პრაქტიკის ხელმძღვანელ მასწავლებელთან ერთად გეგმავს აქტივობებს. სასკოლო პრაქტიკა, პროგრამის ფარგლებში, სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია, რომელიც გამჭოლად გასდევს მთლიან სასწავლო პროცესს.

ერთ-ერთი ყველაზე დიდი სიახლე პროგრამის ბოლო წელია, რომელსაც გერმანიაში რეფერენდარიატს უწოდებენ, ზოგიერთ ქვეყანაში კი – მაძიებლობის წელს. ეს გახლავთ დამოუკიდებელი და ინტენსიური, აქტიური სასკოლო პედაგოგიური პრაქტიკა – სტუდენტი გეგმავს, ატარებს, აფასებს და ჩართულია არა მხოლოდ საგაკვეთილო პროცესში, სკოლის ფორმალურ ცხოვრებაში, არამედ არაფორმალურ ცხოვრებაშიც – მშობლებთან კომუნიკაცია, კლუბური მუშაობა და ა.შ. მან სკოლის ყველა მხარე უნდა გაიცნოს – დადებითიც და უარყოფითიც, რადგან შემდეგ, კურსდამთავრებული კადრისთვის სკოლაში ახალი აღმოჩენები და სიურპრიზები ნაკლებად იყოს და განხიბლული არ დარჩეს. როგორ ფიქრობთ, როდის ტოვებენ ყველაზე მეტად სკოლას მასწავლებლები? სწორედ მაშინ, როცა დამწყები მასწავლებლები პირველივე სირთულეებს აწყდებიან და რაც მთავარია, ამას არ ელიან, ვარდისფერ ფერებში ხედავენ ყველაფერს და უცებ წარმოქმნილი პრობლემების გადასალახად მზად არ არიან. აი, ის ერთი წელი, რომელსაც, სქემის მიხედვით, მაძიებლობის წელს ვუწოდებთ, სასკოლო გარემოს შეგუებისა და გაცნობის პერიოდია. გარდა სასკოლო პრაქტიკისა, ამ დროს, სტუდენტი პრაქტიკის კვლევას აწარმოებს – აკვირდება, ზოგადად, სასკოლო პრობლემებს, თავად რა წინააღმდეგობებს წააწყდა სკოლაში. პრაქტიკის კვლევას ნაშრომის სახით ამზადებს და ურთავს სამაგისტრო ნაშრომს, ეს ყველაფერი კი 300-კრედიტიანი პროგრამის წარმატებით გავლის შესაძლებლობაა, რომელიც, საბოლოოდ, პედაგოგის კვალიფიკაციას ანიჭებს.

**– რეალურად როდის დაიწყება 60-კრედიტიან პროგრამებზე მიღება და ვინ იზრუნებს ახალგაზრდა კადრების დასაქმებაზე? რადგან სახელმწიფოს მხრიდან კვალიფიციური მასწავლებლების მომზადების დაკვეთაა და რაკი კადრზე მოთხოვნაა, მისი დასაქმებაც, თავისთავად, უზრუნველყოფილი უნდა იყოს.**

– 1 თებერვილიდან 1 მარტამდე, უმაღლესმა სასწავლებლებმა „მასწავლებლის მომზადების დამოუკიდებლად მიღების პროგრამები“, საააკრედიტაციოდ, განათლების ხარისხის განვითარების ცენტრს უნდა წარუდგინონ. პროგრამების აკრედიტაცია 15 მარტამდე დასრულდება და უნივერსიტეტი, რომლის პროგრამაც წარმატებით გაივლის აკრედიტაციას, უკვე გამოაცხადებს მიღებას ამ მიმართულებებზე. რეალურად, პროგრამა სექტემბრიდან ამუშავდება. 2017 წლის ზაფხულში ჩვენ 60-კრედიტიანი პროგრამის პირველი გამოშვება გვეყოლება.

მათ დასაქმებას ხელს შეუწყობს აქტიური სასკოლო პრაქტიკა, სტუდენტი ხშირად არის სკოლაში. ეს არ არის ერთჯერადი პრაქტიკა, აქედან გამომდინარე, მას ყველა კურსზე უწევს სკოლაში ყოფნა – კონკრეტულ სკოლაში, კვირაში, 10-15 საათს ატარებს. ამიტომ, თუ სკოლა ხედავს, რომ ის მზარდი კადრია, რომელიც მას გამოადგება, შეიძლება სკოლიდან აღარც კი გაუშვას. ჩვენც გვქონდა შემთხვევები, როცა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რამდენიმე სტუდენტი დაასაქმა სკოლამ, სადაც ისინი პრაქტიკას გადიოდნენ. მაგალითად, 82-ე საჯარო სკოლამ, დაწყებითი კლასის მასწავლებლად, დაასაქმა ჩვენი სტუდენტი, რომელიც პრაქტიკის დროს ძალიან მოეწონა როგორც სკოლის დირექციას, ისე კოლექტივს. როგორც კი გაჩნდა ვაკანსია, ის მასწავლებლად აიყვანეს. ამიტომ ვამბობ, რომ სკოლაში აქტიური პრაქტიკა ბევრად განაპირობებს მათ დასაქმებას. მნიშვნელოვანია, რომ ამით აღდგა კავშირი სკოლასა და უმაღლეს სასწავლებელს შორის და ისიც, რომ უნივერსიტეტებმა სასკოლო პრაქტიკის კონცეფციის შემუშავებაში აქტიურად ჩართონ სკოლები. მე, ამავდროულად, ილიას უნივერსიტეტში განათლების მიმართულების ხელმძღვანელი ვარ და ჩვენი პარქტიკის კონცეფციის მომზადებაში ძალიან აქტიურად იყვნენ ჩართული ის სკოლები, სადაც, მემორანდუმის საფუძველზე, სტუდენტები გაივლიან პრაქტიკას. მემორანდუმის საფუძველზე, ჯერჯერობით, 40 სკოლასთან ვთანამშრომლობთ, რაც ორმხრივად მნიშვნელოვანი და სასარგებლო პროცესია – ვერც სკოლა განვითარდება უნივერსიტეტის გარეშე და ვერც უნივერსიტეტი – მასწავლებლის გარეშე.

ესაუბრა ლალი ჯელაძე

ქართული როგორც მეორე ენა

# მულტიკულტურული გარემოს თავისებურება



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ახლად დამთავრებული მქონდა. სამაგისტრო პროგრამების ძიებაში რაღაც ახალს გადავაწყდი. საინტერესოდ ჟღერდა „ასწავლე საქართველოსთვის“ ...მანამდე ამ პროექტის შესახებ არაფერი მსმენოდა, ცნობისმოყვარეობამ მძლია და გადავწყვიტე განაცხადი შემევსო. დინებას მივყევი და, დაახლოებით სამკვირიანი ტრენინგების შემდეგ, უკვე ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ბალანთის გზას დავადექი. სოფლის შესახებ მხოლოდ მოკლე ანოტაცია მქონდა, რომლის მიხედვითაც გზა, ოქტომბრიდან მაისამდე, დიდთოვლობის გამო იკეტებოდა და მოსახლეობა გარემოს მოწყვეტილი რჩებოდა. თუმცა ამან არანაირი გავლენა არ იქონია ჩემზე და დიდი სიხარულით ველოდი ახალ გარემოსთან შეხვედრას.

გზა ულამაზეს ბორჯომის ხეობას მიუყვებოდა, შემდეგ ბაკურიანი გავიარეთ და გადაიშალა საოცარი ხედები – უზარმაზარი კლდეები და ციცაბო ფერდობები, შემოდგომისფერი იყო უკვე ბუნება. ცხრაწყაროს უღელტეხილი, მდინარე ქციის დაკლაკნილი დინება, ტაბაწყურის ტბა და, როგორც იქნა, ხუთსაათიანი მგზავრობის შემდეგ, სოფელს მივადექით.

უეცრად საოცარი სიმშვიდე ვიგრძენი, თბილისის სიცხისგან და ხმაურისგან გადაღლილს მთის სიგრილე სალბუნად მომედო. სოფელი ძალიან პატარა ყოფილა, სულ 35 მკვიდრი ოჯახი შემორჩენილიყო, თუმცა ზაფხულობით ბევრი სტუმარი იყრიდა თავს. ხალხის სიმცირიდან გამომდინარე, ორიოდე დღეში, თავს ძალიან შინაურულად ვგრძნობდი.

როგორც შემდეგ გავარკვიე, სკოლა ორსექტორიანი ყოფილა: სომხური და ქართული. ახალ დატრენინგებული ენთუზიაზმით შევუდექი სასწავლო პროცესს. პირველ წელს ქართულ სექტორზე ვასწავლიდი ინგლისურს, მეორე წელს კი – ორივე სექტორზე. მასწავლებლობაზე არასდროს მიოცნებია, თუმცა, შევამჩნიე, რომ ეს საქმე ძალიან მიტაცებდა და მალე სწავლის სურვილში მოსწავლეებიც ავიყოლიე. ნულიდან დავიწყეთ და კარგი შედეგები მივიღეთ. აქაურებს ქართული კარგად ესმით, არც საუბარი უჭირთ. ასე რომ, ურთიერთობა არ გამჭირვებია. ახლა მით უმეტეს, როცა სომხური ვისწავლე. პროექტის ფარგლებში, ორი წელი ვითანამშრომლე – 2010-2012 წლები. პროექტი ძალიან პროგრესული იყო და ბევრს ზრუნავდა ჩვენი, მონაწილე პედაგოგების პროფესიულ განვითარებაზე, რაც აშკარად აისახა მოსწავლეების მონაცემებზე.

ჩასვლიდან ოთხი თვის შემდეგ დავოჯახდი ადგილობრივ მკვიდრზე. ახლა, 27 წლის ასაკში, ქალ-ვაჟის დედა ვარ, მყავს 4 წლის ალექსანდრე და 2 წლის სესილი. უკვე მეორე წელია, რაც სკოლას როგორც დირექტორი სათავეში ვუდგავარ. ახლა იგი ჩემთვის მშობლიურია, რადგან აქ ჩემი შვილები ისწავლიან. როგორც მენეჯერი, ვცდილობ სკოლა ინფრასტრუქტურულად გამართული იყოს და ვზრუნავ მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე, რადგან ვფიქრობ განათლება უკეთესი მომავლის საწინდარია. კარგია, რომ ინგლისურის პედაგოგი ნინო მელიქიძე ადგილობრივი კადრია, მან სპეციალური გადამზადება გაიარა და დიდი მონდომებით აგრძელებს მუშაობას.

სკოლაში მულტიკულტურული გარემოა. გვქონდა და დღესაც ვახორციელებთ ერთობლივ პროექტებს. როგორც პედაგოგმა, რამდენიმე საერთაშორისო პროექტი განვახორციელე ევროპელ კოლეგებთან ერთად. ჩემი მოსწავლეები კარგად ფლობენ თანამედროვე ტექნოლოგიებს. დამზადებული გვაქვს რამდენიმე პროექტის ბლოგი. სკოლას აქვს საკუთარი ფეისბუქის გვერდი, რომელიც სისტემატურად ახლდება სხვადასხვა სიახლეებითა და სასწავლო აქტივობებით. სკოლის თვითმმართველობის ინიციატივით, ახლახან, დავიწყეთ პროექტი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის – „გაიცანი შენი ქვეყნის კულტურა“, რაც მოიცავს როგორც ადგილზე მუშაობას და ინფორმაციის შეგროვებას, ასევე გასვლით ტურებს მაღალი კლასის მოსწავლეებისთვის. ვფიქრობ, პროექტი ხელს შეუწყობს მოსწავლეების ინტეგრაციასა და პატრიოტული სულისკვეთების განვითარებას.

მკაცრი კლიმატი სულაც არ გვიშლის ხელს ვიყოთ აქტიურები და ჩავერთოთ სხვადასხვა ღონისძიებებში. ჩემს კოლეგებსა და მოსწავლეებს ყოველთვის მაღალ მოლოდინებს ვუწესებ და შემდეგ ვეხმარები მათ მიღწევაში. ქართული სექტორის პედაგოგების თითქმის 50 პროცენტი უფროსი კატეგორიისაა, სომხური სექტორის მასწავლებლებიც მოუთმენლად ელიან მათთვის დანერგილ სიახლეებს. ამ ეტაპისთვის სკოლა ჩართულია დაწყებითი განათლების პროექტში, რაც მოსწავლეებს ეხმარება გავიდნენ მაღალ შედეგებზე.

ჩვენ, ერთ გუნდად შეკრულები, ვცდილობთ მაქსიმალურად შევამციროთ ის მანძილი, რაც ქალაქთან გვაშორებს და ეს ზამთრის გრძელი დღეები საუკეთესოდ გამოვიყენოთ წიგნთან საურთიერთოდ. გვჯერა, დავანგრევთ იმ სტერეოტიპს – თითქოსდა სოფელში კარგი განათლების მიღება არ შეიძლება.

ნინო ვასაძე
*ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ბალანთის საჯარო სკოლის დირექტორი*

კონკურსი უფროსკლასელთათვის

# „ზღაპრები და ლეგენდები ბებიას სკივრიდან“

## გახდი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ქომაგი!

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ საფუძველი ჩაუყარა უფროსკლასელთა კონკურსს სახელწოდებით **„არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ქომაგი“.** წელს კონკურსი მეოთხედ იღებს სტარტს. თავად მიმართულების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ ყოველწლიურად იცვლება კონკურსის თემატიკა. პირველად, 2012 წელს, კონკურსი ზოგად, გაცნობით ხასიათს ატარებდა. მომდევნო ორი წლის განმავლობაში კონკურსმა კონკრეტული ამოცანები დაისახა თემებით: **„ტრადიციული ხელსაქმე და ხელოსნობა“** და **„გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების ტრადიციები საქართველოში“.**

წელს საქართველოს საჯარო და კერძო სკოლების უფროსკლასელებს ვთავაზობთ კონკურსს თემაზე **„ზღაპრები და ლეგენდები ბებიას სკივრიდან“.**

### კონკურსის მიზანია:

❖ გამოავლინოს უხუცესების მეხსიერებაში შემონახული სხვადასხვა კუთხის უძველესი ზღაპრები და ლეგენდები, ზეპირსიტყვიერების სხვა ნიმუშები;

❖ გაზარდოს საზოგადოების, განსაკუთრებით ახალგაზრდების, ინტერესი მათი კუთხის არამატერიალური მემკვიდრეობის მიმართ;

❖ ჩართოს საქართველოს ახალი თაობა არამატერიალური მემკვიდრეობის ნიმუშების მოძიებასა და ფიქსაციაში;

❖ გაუღვივოს მათ ინტერესი წინაპრების კულტურისა და შემოქმედებისადმი.

### კონკურსი ჩატარდება ორ ტურად:

### პირველი ტური

გულისხმობს სკოლაში მოსწავლეთა ნამუშევრების პირველად სელექციას, რომელიც, სკოლის ადმინისტრაციის მიერ, საკონკურსო პირობების ყველა ნორმის დაცვით იქნება შერჩეული და გადმოგზავნილი მითითებულ ელმისამართზე (იხ. საკონკურსო ნიმუშის წარდგენის ფორმა), საჭიროების შემთხვევაში, სკოლის ხელმძღვანელობამ თავად უნდა გაუწიოს მოსწავლეს ტექნიკური დახმარება.

### თითოეული ნაშრომი უნდა მოიცავდეს:

**1. ვორდის ფაილში დაწერილ საკონკურსო ნამუშევარს;**
**2. მოსწავლეების მიერ მოთხრობილი ამბის მიხედვით ცალკე შესრულებულ (დახატული, გამოძერწილი, კონსტრუირებული და სხვ.) ილუსტრაციებს და მათი მაღალი ხარისხით გადაღებულ ფოტოებს (რაოდენობა შეზღუდული არ არის). ფოტოები უნდა გადმოიგზავნოს ვორდის ფაილში შესრულებულ ნაწერთან ერთად jpg ფორმატში;**
**3. ელემენტზე მუშაობის ამსახველი ფოტომასალა, გადმოგზავნილი ასევე jpg ფორმატით;**
**4. ვორდის ფაილში დაწერილი ნაშრომი გაფორმებული უნდა იყოს მონაწილის მიერ შესრულებული ილუსტრაციების ფოტოებით, რათა ნამუშევრების გადარჩევისას კომისიის წევრებს გაუადვილდეთ მათი შეფასება.**

<u>სასურველია</u> ნიმუში ჩაიწეროს თქვენი რეგიონის (სოფლის, ქალაქის, ქუჩის, უბნის, ოჯახის, და ა.შ.) მკვიდრი მოსახლისაგან.

<u>სასურველია</u> მოძიებული და ჩაწერილი ნიმუში ფართე საზოგადოებისთვის ნაკლებად იყოს ცნობილი.

სკოლის შიდა შერჩევის შედეგად შერჩეული საუკეთესო ერთი ან რამდენიმე ნიმუში სკოლამ უნდა გადმოაგზავნოს:

❖ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში ელფოსტაზე aramaterialuri@yahoo.com,

❖ ან გაზეთ „ახალი განათლების“ რედაქციაში,

❖ ან მოგვაწოდოს ფოსტით – „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“, მისამართზე: თბილისი, 0105, თაბუკაშვილის ქ. 5.

საინტერესო ნაშრომების ავტორები მონაწილეობას მიიღებენ მეორე ტურში.

### მეორე ტური

მეორე ტურში გადასული მოსწავლეები, კონკურსის ორგანიზატორების შენიშვნების გათვალისწინებით, ჩაასწორებენ ნიმუშებს და ხელახლა გადმოგზავნიან კონკურსის გამარჯვებულის გამოსავლენად.

გამარჯვებული ნიმუშების მიხედვით შედგება ილუსტრირებული კრებული, რომელიც გამოიცემა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ და საჩუქრად გადაეცემათ ავტორებსა და კონკურსში მონაწილე სკოლებს, ასევე სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებს.

გამარჯვებული ავტორი (სკოლა, მასწავლებელი, მოსწავლე), საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ დაჯილდოვდება საგანგებო სიგელით და მიიღებს „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ქომაგის“ წოდებას. ნამუშევრები გამოქვეყნდება გაზეთ „ახალ განათლებაში“. გაშუქდება მასმედიით.

### საკონკურსო ნიმუშის წარდგენის ფორმა:

1. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში – *დასახელება;*
2. იდეის ავტორი – *სახელი, გვარი;*
3. ხელმძღვანელი პედაგოგი – *სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ელმისამართი);*
4. ქალაქი (რაიონი, სოფელი) და სკოლის სრული დასახელება;
5. სკოლის დირექტორი – *სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელელეფონი, ელმისამართი);*
6. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშის სხვა დასახელება (რამდენიმე დასახელების შემთხვევაში, მიუთითეთ ყველა სათაური და დაურთეთ კომენტარი);
7. ნიმუშის აღწერა.

***აღწერისათვის უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:***

❖ რას წარმოადგენს თქვენ მიერ შერჩეული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში (ზღაპარი, იგავი, თქმულება, ლეგენდა და ა.შ.) – *მოკლე განმარტება ნიმუშის შესახებ;*

❖ ნიმუშის სახელწოდება *(აგრეთვე, მიუთითეთ თუ არის ცნობილი თქვენ მიერ აღწერილი ნიმუშის განსხვავებული, სხვა სახელწოდება);*

❖ ნიმუშის ჩაწერის აღწერილობა – *სად, როდის, რისთვის და ვის მიერ იქნა მოთხრობილი და ჩაწერილი ეს ნიმუში და ვისგან აქვს მოსმენილი თავად მის მთხრობელს;*

❖ ტრადიციულად, რა დროს, რა შემთხვევაში ჰყვებოდნენ მას *(ასეთის არსებობის შემთხვევაში, აღწერეთ გარემოება, როდესაც ჰყვებოდნენ ამ კონკრეტულ ნიმუშს);*

❖ *რას უკავშირდებოდა აღნიშნული ამბის თხრობა/გამოყენება/შესრულება;*

❖ *რა ატრიბუტები უკავშირდება/თან ახლავს მის თხრობას/გამოყენებას/შესრულებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში დააფიქსირეთ ფოტოზე);*

❖ *სხვა პირობები, რომელიც აუცილებელია აღნიშნული ნიმუშის თხრობის დროს;*

❖ *რა როლი ენიჭება თქვენ მიერ შერჩეულ ნიმუშს საზოგადოების კულტურულ, ან რელიგიურ, ან ყოველდღიურ ცხოვრებაში. დაასაბუთეთ შემოთავაზებული ნიმუშის მნიშვნელობა (უნიკალობა ან ორიგინალობა) პირადად თქვენთვის (რეგიონისთვის, სოფლისთვის, ოჯახისთვის, სკოლისთვის...), საზოგადოებისათვის;*

❖ ***აღწერეთ თავად ნიმუში* – სასურველია, სიტყვების საერთო რაოდენობა არ იყოს 500 სიტყვაზე ნაკლები.**

სპეციფიკის გათვალისწინებით წარმოდგენილ ნაშრომს უნდა ახლდეს შესაბამისი თვალსაჩინო მასალა: ფოტო, ვიდეო (შესაძლებლობის შემთხვევაში), ასევე ჩანახატი, ჩანახაზი, შაბლონი, სქემა, ესკიზი და სხვ.

ნამუშევრებს, სპეციალისტებთან ერთად, განიხილავენ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ექსპერტები.

**გადმოგზავნის ვადაა 2016 წლის 1 მარტი.**

***გვეკონტაქტეთ:*** სამუშაო დღეებში
(32)298-39-24, 13სთ-დან 15სთ-მდე
ან 599 08 40 03; 599 08 40 14;
aramaterialuri@yahoo.com
მაკა თაქთაქიშვილი, სალომე ხმიადაშვილი,
კოტე ნაცვლიშვილი

***საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს იუნესკოსა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის არამატერიალური მემკვიდრეობის განყოფილება***

TALIS

# სწავლებისა და სწავლის საერთაშორისო კვლევა

*შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში სწავლებისა და სწავლის საერთაშორისო კვლევის (TALIS) ეროვნული ანგარიშის პრეზენტაცია გაიმართა. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის კვლევა (TALIS) – პირველი საერთაშორისო კვლევაა, რომელიც კომპლექსურად შეისწავლის მასწავლებლის პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ასპექტს და საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ, რა გავლენას ახდენს კვლევაში მონაწილე ქვეყნების საგანმანათლებლო პოლიტიკა სასწავლო გარემოზე სკოლებში. კვლევის მიზანია დაეხმაროს კვლევაში მონაწილე ქვეყნებს მასწავლებლის პროფესიის განვითარებაზე ორიენტირებული ეფექტიანი პოლიტიკის დანერგვაში.*

*სწავლებისა და სწავლის საერთაშორისო კვლევა 2008 წლიდან ხორციელდება. საქართველო კვლევას 2013 წელს შეუერთდა. საქართველოსთან ერთად, კვლევაში 35 ქვეყანა მონაწილეობდა. საქართველოში კვლევის ადმინისტრირება შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა უზრუნველყო, ჩვენი ქვეყნის 440 სკოლის დირექტორებისა და ამ სკოლების 6000-ზე მეტი მასწავლებლის დახმარებით. TALIS-ის შემდეგი ციკლის ჩატარება 2018 წელს იგეგმება და ამ კვლევის ორივე ციკლის ჩატარებას ფინანსურად უზრუნველყოფს „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველო“ და „ათასწლეულის გამოწვევის კორპორაცია“.*

*სწავლებისა და სწავლის საერთაშორისო კვლევა წარმოადგენს გამოკითხვების სერიას და ყოველ 5 წელიწადში ერთხელ ტარდება. მონაცემების შესაგროვებლად TALIS იყენებს კითხვარებს: მასწავლებლებისათვის და დირექტორებისათვის.*

***მასწავლებლის კითხვარში*** *შედის კითხვები, რომლებიც ეხება მასწავლებლის პროფესიულ განვითარებას, შეფასებას, უკუკავშირს, მასწავლებლის საქმიანობას ზოგადად და მასწავლებლის საქმიანობას მიზნობრივ კლასში (შემთხვევითი წესით შერჩეული ერთი კლასი), მასწავლებლის სამსახურით კმაყოფილებასა და თვითშეფასებას, ასევე, მასწავლებელთა მობილობას. კითხვარის საშუალებით, დამატებით, ვიღებთ ზოგად ინფორმაციას მასწავლებლების შესახებ (მაგალითად: ასაკი, სქესი, გამოცდილება, განათლება და ა.შ.).*

***დირექტორის კითხვარში*** *შედის კითხვები, რომლებიც ეხება დირექტორისა და სკოლის შესახებ ზოგად ინფორმაციას, სკოლის ლიდერობას, მასწავლებელთა ფორმალურ შეფასებას, სასკოლო კლიმატს, მასწავლებელთა მაძიებლობასა და მენტორობას, აგრეთვე, სამსახურით კმაყოფილებას. მასწავლებლის კითხვარის მსგავსად, დირექტორის კითხვარსაც დაემატა ე. წ. ეროვნული კითხვები, რომლებიც მასწავლებლების სერტიფიცირებასა და დირექტორების შერჩევის წესს ეხებოდა.*

*სწავლებისა და სწავლის საერთაშორისო კვლევის ანგარიში საკმაოდ მოცულობითია, ამიტომ მოკლე ანოტაციის სახით შემოგთავაზებთ იმ ძირითად მიგნებებსა და მონაცემებს, რაც საინტერესოდ მივიჩნიეთ.*

## საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლები და მათი სკოლები

საქართველოში საბაზო საფეხურის მასწავლებლების საშუალო ასაკი 48 წელია, რაც 5 წლით მეტია TALIS-ში მონაწილე ქვეყნების საშუალო მაჩვენებელზე. **საქართველოში 60 წლისა და უფროსი ასაკის მასწავლებლების წილი კვლევაში მონაწილე ყველა სხვა ქვეყანაზე მაღალია. საქართველო ასევე გამოირჩევა ახალგაზრდა მასწავლებლების დაბალი წილით სისტემაში.** თუმცა ახალგაზრდა მასწავლებლების წილი მნიშვნელოვნად განსხვავდება საგნების მიხედვით: თუ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს შორის 30 წლამდე ასაკის მასწავლებლების წილი 4%-ია, უცხოური ენების მასწავლებლებში 13% და საინფორმაციო ტექნოლოგიების მასწავლებლებს შორის – 9%.

მასწავლებლების 81%-ს ნასწავლი აქვს საგნის შინაარსი ყველა იმ საგნისათვის, რომლებსაც სკოლაში ასწავლის. საგნის პედაგოგიკას, ყველა შესაბამისი საგნის მიმართულებით, დაეუფლა მასწავლებლების 68%. მასწავლებლების 68%-ს, გავლილი აქვს ასევე საკლასო პრაქტიკა. მასწავლებლების, დაახლოებით, 70%-მა საგნის სწავლებისათვის საჭირო საგნობრივი ცოდნა აკადემიური პროგრამის ფარგლებში, დანარჩენებმა კი – საშუალო ან უმაღლესი პროფესიული განათლების, საგნობრივი მიმართულების პროგრამების ან/და პროფესიული განვითარების პროგრამების ფარგლებში გაიარეს.

საქართველოში საბაზო და საშუალო საფეხურების მასწავლებლების ნახევარს მიაჩნია, რომ ძალიან კარგად არის მომზადებული იმ საგანში, რომელსაც ასწავლის, ხოლო მასწავლებლების 46% კარგად მომზადებულად მიიჩნევს თავს. შედარებით ნაკლებ მასწავლებელს მიაჩნია, რომ ძალიან კარგად არის მომზადებული საგნის პედაგოგიკაში (39%), ხოლო 54% ფიქრობს, რომ კარგად მომზადებულია. თუ საქართველოს კვლევაში მონაწილე სხვა ქვეყნებს შევადარებთ, ვნახავთ, რომ **ქართველი მასწავლებლები უფრო მომზადებულად გრძნობენ თავს, ვიდრე მასწავლებლები ფინეთში, იაპონიაში, საფრანგეთში, ნორვეგიასა და ჰოლანდიაში.**

საქართველოში მასწავლებლების ნახევარზე მეტი არასრულ განაკვეთზე მუშაობს. TALIS-ში მონაწილე ქვეყნების საშუალო მაჩვენებელი 18%-ია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ **ქართველი მასწავლებლების 88% არასრულ განაკვეთზე მუშაობს არა საკუთარი არჩევანით, არამედ სრულ განაკვეთზე მუშაობის შესაძლებლობის არარსებობის გამო**. სერტიფიცირებული მასწავლებლების 68% მუშაობს სრულ განაკვეთზე, რაც მნიშვნელოვნად აღემატება ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს (47%).

საბაზო და საშუალო საფეხურის დირექტორების ყველაზე დიდი ნაწილი სკოლების მუშაობის შემაფერხებელ ფაქტორად კვალიფიციური/კარგი მასწავლებლების ნაკლებობას ასახელებს: დირექტორების 61% ამ ფაქტორს თვლის „ძალიან“ ან „გარკვეულწილად“ შემაფერხებლად. დირექტორების ნახევარი ასევე პრობლემატურად მიიჩნევს ბიბლიოთეკის მასალების ნაკლებობას ან შეუსაბამობას (51%); სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი კომპიუტერული პროგრამების ნაკლებობას ან შეუსაბამობას (51%); სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი კომპიუტერების ნაკლებობას ან შეუსაბამობას (49%); დამხმარე პერსონალის ნაკლებობას (48%); სასწავლო მასალების შეუსაბამობას ან ნაკლებობას (47%) და არასაკმარის წვდომას ინტერნეტზე (46%). ქალაქის კერძო და საჯარო სკოლები ერთნაირად განიცდიან მასწავლებლებისა და სასწავლო რესურსების ნაკლებობას ან შესაბამისობას. ზოგიერთი ფიზიკური რესურსის ნაკლებობას განსაკუთრებით მწვავედ განიცდიან პატარა სოფლებში.

**სკოლის ბიუჯეტის განაწილების თვალსაზრისით, საქართველო დაბალი ავტონომიურობის მქონე ქვეყნების ჯგუფს მიეკუთვნება. ასევე დაბალია ავტონომიურობის ხარისხი სწავლა-სწავლების შინაარსისა და შეფასების პოლიტიკის განსაზღვრაში.** სასწავლო მასალების არჩევისა და სასწავლო საგნების შერჩევის თვალსაზრისით, საქართველო საშუალო დონის ავტონომიურობის მქონე სისტემებს განეკუთვნება. საქართველოში საკადრო საკითხების გადაწყვეტის მხრივ სკოლებს მაღალი თავისუფლების ხარისხი აქვთ.

## მასწავლებლის პროფესიული განვითარება და მხარდაჭერა

საქართველოში, ბოლო ერთი წლის განმავლობაში, პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებულ სხვადასხვა აქტივობაში საბაზო საფეხურის მასწავლებლების 77%-მა მიიღო მონაწილეობა. გამოკითხული მასწავლებლები განსაკუთრებით აქტიურნი იყვნენ რამდენიმე მიმართულებით: მასწავლებლების უმრავლესობამ (50%) გაიარა სხვადასხვა სასწავლო კურსი და მონაწილეობა მიიღო საგნობრივ, მეთოდოლოგიურ და/ან განათლებასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ სამუშაო შეხვედრებში; გამოკითხული მასწავლებლების 29% ჩაერთო პროფესიული განვითარების მასწავლებელთათვის შექმნილ ქსელში და იმავე რაოდენობამ (30%) ინდივიდუალურად ან ჯგუფურად ჩაატარა კვლევა; მასწავლებელთა 20%-მა კი მონაწილეობა მიიღო განათლების თემაზე მოწყობილ კონფერენციებსა და სემინარებში, რომლებზეც მასწავლებლებმა და/ან მკვლევრებმა წარმოადგინეს თავიანთი კვლევების შედეგები. საგულისხმოა, საქართველოში, პროფესიული განვითარების ყველა ჩამოთვლილ აქტივობაში მონაწილე მასწავლებლების წილი TALIS საშუალო მაჩვენებელზე დაბალია.

**საქართველოში გამოკითხულ მასწავლებლებს შორის ყველაზე ნაკლებად აქტუალურია პროფესიული განვითარება შემდეგი სამი მიმართულებით: მულტიკულტურულ და მულტილინგვურ გარემოში სწავლება (46%), სკოლის მართვა და ადმინისტრირება (51%), სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების სწავლება (53%).** ამის საპირისპიროდ, საგნის სწავლებაში ახალი ტექნოლოგიების გამოყენება (62%) და საგნის სწავლებაში ისტ გამოყენების უნარების გაძლიერება (68%) მასწავლებლებისათვის ძალიან მნიშვნელოვან საჭიროებას წარმოადგენს. ამავე კატეგორიაში ხვდება სასწავლო გეგმის ცოდნა (76%) და მოსწავლის შეფასების მეთოდებში პროფესიული განვითარება (79%). მასწავლებლებისათვის პროფესიული განვითარების მეტ-ნაკლები საჭიროება დგას საგნობრივი სფეროს ცოდნის გაღრმავების (59%), პედაგოგიური კომპეტენციების ამაღლებისა (56%) და მოსწავლეებისათვის კარიერის დაგეგმვაში კონსულტირების მიმართულებით.

რიგ სფეროებში პროფესიული განვითარების საჭიროებებისადმი დამოკიდებულებები განსხვავდება მასწავლებლების ასაკის მიხედვითაც. მაგალითად, უფროსი ასაკის კოლეგებთან შედარებით, 25 წლამდე ასაკის მასწავლებლები უფრო მეტად ხედავენ პროფესიული განვითარების საჭიროებას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების სწავლებაში (56%), დასაქმების ან შემდგომი სწავლებისათვის პროფესიათაშორისი კომპეტენციების განვითარების მეთოდებში (60%), სკოლის მართვასა და ადმინისტრირებაში (41%) და სხვ. 40-60 წლის მასწავლებლები სამუშაო ადგილზე ახალი ტექნოლოგიებისა და სწავლებაში ისტ-ის გამოყენების უნარების საჭიროებას ხედავენ.

## მასწავლებლების შეფასება და უკუკავშირი

საქართველოში მასწავლებლების 95% მუშაობს სკოლებში, რომლებშიც დირექტორები მასწავლებლებს ფორმალიზებული სისტემის ფარგლებში აფასებენ. მასწავლებლების 89% მუშაობს იმგვარ კერძო სკოლებში, რომლებშიც მასწავლებლების ფორმალიზებული შეფასების პრაქტიკა ფუნქციონირებს. საჯარო სკოლებში კი ასეთი მასწავლებლების წილი 77%-ია. საქართველოს სკოლებში ფორმალიზებული შეფასების ყველაზე გავრცელებული პრაქტიკა გაკვეთილზე დაკვირვება (97%) და მოსწავლეების ტესტირების შედეგების ანალიზია (98%).

მასწავლებლის შეფასების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დანიშნულება მასწავლებლისათვის უკუკავშირის მიწოდებაა. უკუკავშირი კი მასწავლებლის პროფესიული განვითარების ძლიერ საშუალებად განიხილება (Kumrow & Dahlen, 2002; MacBeath & McGlynn, 2002). კვლევაში მონაწილე ქვეყნების უდიდეს ნაწილში უკუკავშირის მიმწოდებელი მხარე სკოლის დირექტორი და სკოლის მართვის ჯგუფის წევრი ან წევრები არიან.

როგორც კვლევაში მონაწილე ქვეყნების უდიდეს ნაწილში, საქართველოშიც უკუკავშირის წყარო **გაკვეთილზე დაკვირვებაა**. გამოკითხული მასწავლებლების 73% ამბობს, რომ მათ მიერ მიღებული უკუკავშირი გაკვეთილზე დაკვირვებას ეფუძნებოდა.

**მოსწავლეთა გამოკითხვაზე** დაყრდნობით შექმნილი უკუკავშირი მიუღია ქართველი მასწავლებლების ნახევარს. ეს მაჩვენებელი TALIS-ის ქვეყნების მაჩვენებლის (53%) მსგავსია.

**საგნობრივი ცოდნის შეფასებაზე** დაყრდნობით შექმნილი უკუკავშირი მიუღია ქართველი მასწავლებლების 63%-ს, რაც TALIS-ის ქვეყნების საშუალო მაჩვენებელზე (55%) მაღალია.

**მოსწავლეების ტესტირებებზე** დაყრდნობით შექმნილი უკუკავშირი მიუღია ქართველი მასწავლებლების 61%-ს, რაც კვლევაში მონაწილე ქვეყნების საშუალო მაჩვენებლის (64%) მსგავსია.

მასწავლებლების 63% საქართველოში და TALIS-ის ქვეყნების მასწავლებლების საშუალოდ ნახევარი ამბობს, რომ უკუკავშირის წყარო მათ მიერ გაკეთებული **თვითშეფასების განხილვა** იყო. ეს მაჩვენებელი მაღალია აღმოსავლეთ ევროპის რიგ ქვეყნებში.

საქართველოში მასწავლებლების უდიდესი ნაწილის თქმით, მათ მიერ მიღებული უკუკავშირის ფოკუსი იყო როგორც მოსწავლეების შედეგები (95%), ასევე მათ მიერ საგნის ცოდნა და გაცნობიერება (94%), საგნის სწავლებისათვის საჭირო პედაგოგიური კომპეტენციები (93%), მოსწავლის შეფასების მეთოდები (94%) და მოსწავლის ქცევისა და კლასის მართვა (92%). ყველა ამ მაჩვენებლის მიხედვით, საქართველოს შედეგები აღემატება TALIS-ის საშუალო მაჩვენებელს. უკუკავშირის ფოკუსი საქართველოს მსგავსად გადანაწილდა ბევრ მონაწილე ქვეყანაში, განსაკუთრებით საგულისხმოა ეს მსგავსება ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებთან (სლოვაკეთი, რუმინეთი და ლატვია).

ქართველი მასწავლებლების უდიდესი ნაწილი თვლის, რომ შეფასების შედეგად მიღებულმა უკუკავშირმა გარკვეული ან ძლიერი პოზიტიური გავლენა მოახდინა სწავლების მათ მიერ გამოყენებულ მეთოდებსა და სტრატეგიებზე (78%) და მოსწავლეების შეფასების მეთოდებზე (75%). მაგრამ შედარებით ნაკლები მასწავლებელი თვლის, რომ შეფასებამ გავლენა მოახდინა იმ მეთოდებზე, რომლებსაც ისინი სსსმ მოსწავლეების სწავლებისას იყენებენ (52%). ამ მაჩვენებლებით საქართველოს შედეგები TALIS-ის ქვეყნების საშუალო მაჩვენებლებზე მაღალია.

## მასწავლებლებისა და დირექტორების დამოკიდებულება

**გამოკითხვის ფარგლებში, მასწავლებლებსა და დირექტორებს სთხოვეს შეეფასებინათ მასწავლებლების სერტიფიცირების 2015 წლამდე არსებული მოდელი. როგორც დირექტორებში, ასევე მასწავლებლებში სერტიფიცირებისადმი დადებითად და უარყოფითად განწყობილთა წილი დაახლოებით თანაბრად ნაწილდება.**

**მასწავლებლების სერტიფიცირებისადმი დამოკიდებულება მკვეთრად განსხვავდება სერტიფიცირების სტატუსის მიხედვით.** სერტიფიცირებული მასწავლებლების 76% თვლის, რომ სერტიფიცირება ადასტურებს საგნის ცოდნას, არასერტიფიცირებულ მასწავლებლებში ასეთი მასწავლებლების წილი 28%-სა (ჩაიჭრა ორივე გამოცდაში) და 51%-ს (ჩაიჭრა მხოლოდ პროფესიული უნარების გამოცდაში) შორის მერყეობს. სერტიფიცირებული მასწავლებლების 74% თვლის, რომ სერტიფიცირება ადასტურებს პროფესიული უნარების ფლობას. ასეთი მასწავლებლების წილი ყველაზე დაბალი (38%) იმ მასწავლებლებშია, რომლებმაც ვერ გადალახეს ვერც ერთი გამოცდის ზღვარი, 41% იმ მასწავლებლებში, რომლებმაც გადალახეს პროფესიული უნარების გამოცდაში დაწესებული ზღვარი, 43% იმ მასწავლებლებში, რომლებმაც წარმატებით ჩააბარეს საგნობრივი გამოცდა და 45% იმ მასწავლებლებში, რომლებსაც გამოცდებში მონაწილეობა არ მიუღიათ.

გამოკითხვის ფარგლებში, დირექტორებსა და მასწავლებლებს, ასევე, სთხოვეს შეეფასებინათ მასწავლებლის შეფასების ინსტრუმენტები მნიშვნელოვნების მიხედვით. **მასწავლებლების 93% და დირექტორების 99% თვლის, რომ გაკვეთილზე დაკვირვება მასწავლებლის შეფასებისათვის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია.** დირექტორების 100% და მასწავლებლების 97% მნიშვნელოვნად ან ძალიან მნიშვნელოვნად თვლის მოსწავლეების სწავლის შედეგების გამოყენებას მასწავლებლის შეფასებისას. მასწავლებლების 93% და დირექტორების 92% თვლის, რომ მნიშვნელოვანი ან ძალიან მნიშვნელოვანია თვითშეფასების გამოყენება. ყველაზე ნაკლებად პოპულარული როგორც დირექტორებში, ასევე მასწავლებლებში პროფესიული უნარებისა და საგნობრივი ცოდნის ტესტირება და მოსწავლეების გამოკითხვა აღმოჩნდა. დირექტორების 79% და მასწავლებლების 71% თვლის, რომ მოსწავლეების გამოკითხვა მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. დირექტორების 76% თვლის, რომ საგნობრივი ცოდნის შეფასება მნიშვნელოვანია. მასწავლებლებში ამ მეთოდის გამოყენების მომხრე 69%-ია. დირექტორების 73% თვლის, რომ მნიშვნელოვანია პროფესიული უნარების გამოყენება. მასწავლებლებში მომხრეთა წილი 68%-ია.

აღსანიშნავია, რომ დირექტორების მიერ შეფასებას მნიშვნელოვნად მიიჩნევს მასწავლებლების 93%, მაგრამ შედარებით ნაკლებს მიაჩნია, რომ შემფასებელი სხვა მასწავლებლები უნდა იყვნენ (84%). მასწავლებლების შეფასებაში ჩართვას მნიშვნელოვნად ან ძალიან მნიშვნელოვნად მიიჩნევს დირექტორების 85%.

## მოსწავლეთა შეფასების მეთოდები

**საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული პრაქტიკაა შეფასების მეთოდი, რომელიც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს თავად შეაფასონ საკუთარი წინსვლა. ეს მაჩვენე-**

**ბელი საქართველოში (71%) ყველა სხვა მონაწილე ქვეყანაზე მაღალია.**

საქართველოში მასწავლებლების 58% „ხშირად“ ან „ყველა ან თითქმის ყველა გაკვეთილზე“ იყენებს სტანდარტიზებულ ტესტირებას. ასეთი მასწავლებლების წილი TALIS-ის ქვეყნებში საშუალოდ 38%-ია.

მოსწავლეების გამოძახება და კითხვების დასმა კლასის წინაშე ასევე გავრცელებული პრაქტიკაა ქართულ სკოლებში. ქართველი მასწავლებლების 61% ამბობს, რომ ხშირად ან ყოველ, ან თითქმის ყოველ გაკვეთილზე მიმართავს ამ მეთოდს მოსწავლეების შესაფასებლად.

TALIS-ის ქვეყნების საშუალოს (55%) უტოლდება საქართველოში იმ მასწავლებლების წილი (56%), რომელიც ამბობს, რომ ნიშანთან ერთად მოსწავლის ნამუშევრის წერილობით უკუკავშირს აკეთებს. წერილობითი უკუკავშირი მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ მოსწავლემ მისაღწევ შედეგთან მიმართებაში შეაფასოს საკუთარი შედეგი და გაიგოს, რა და როგორ უნდა გააუმჯობესოს. შეფასების ასეთი სტრატეგიის გამოყენების თვალსაზრისით მრავალფეროვანი სურათია TALIS-ის კვლევაში მონაწილე ქვეყნებში.

## მასწავლებლების შეხედულებები სწავლებასა და სწავლაზე

გამოკითხვის ფარგლებში, მასწავლებლებს უნდა აღენიშნათ, რამდენად ეთანხმებოდნენ იმას, რომ მათი, „როგორც მასწავლებლის როლია მოსწავლეების ძიების პროცესის ხელშეწყობა, რომ მოსწავლეები ყველაზე კარგად მაშინ სწავლობენ, როცა თავად პოულობენ პრობლების გადაჭრის გზებს“, რომ „მოსწავლეებს საშუალება უნდა მიეცეთ, თავად იფიქრონ პრაქტიკული პრობლემების გადაჭრის გზებზე, სანამ მასწავლებელი აჩვენებს, როგორ გადაიჭრება ეს პრობლემები“ და რომ „აზროვნება და მსჯელობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სასწავლო გეგმაში მოცემული კონკრეტული მასალა“.

**მასწავლებლების უდიდეს ნაწილს როგორც საქართველოში, ასევე კვლევაში მონაწილე სხვა ქვეყნებში მიაჩნია, რომ მათი, როგორც მასწავლებლების როლი მოსწავლეების ძიების პროცესის ხელშეწყობაა. მასწავლებლების წილი, რომლებიც ამ დებულებას ეთანხმებიან ან სრულიად ეთანხმებიან საქართველოში 99%, TALIS-ის ქვეყნებში კი საშუალოდ 94%-ია.** შედარებით ნაკლები მასწავლებელი, მაგრამ მაინც უმრავლესობა, ეთანხმება იმას, რომ მოსწავლეებს საშუალება უნდა მიეცეთ, თავად იფიქრონ პრობლემების გადაჭრის პრაქტიკული გზების შესახებ და მოსწავლეები ყველაზე კარგად მაშინ სწავლობენ, როცა თავად პოულობენ გადაჭრის გზებს. ქართველი მასწავლებლების შედარებით ნაკლები (87%) ეთანხმება იმას, რომ აზროვნება და მსჯელობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სასწავლო გეგმაში მოცემული კონკრეტული მასალა. კვლევაში მონაწილე სხვა ქვეყნებშიც მასწავლებლებს შორის ზემოთ აღნიშნული საკითხების შესახებ აზრთა სხვადასხვაობა არ შეიმჩნევა – თითქმის ყველა ქვეყანაში ყველა დებულებას მასწავლებლების უდიდესი ნაწილი ეთანხმება.

**საინტერესოა, რომ ქართველ მასწავლებლებს შორის თვითეფექტიანობის განმსაზღვრელი ფაქტორებია მასწავლებლების სქესი (მაღალია ქალებში), მასწავლებლების სტაჟი (იზრდება წლებთან ერთად), მასწავლებლების საგნები: სხვა საგნების მასწავლებლებთან შედარებით, თვითშეფასება მაღალია ქართული ენისა და ლიტერატურის, რელიგიისა და ხელოვნების მასწავლებლებში.** სერტიფიცირებულ მასწავლებლებში, დანარჩენ მასწავლებლებთან შედარებით, მაღალია სწავლებაში ეფექტიანობის განცდა, მაგრამ დაბალია მოსწავლეების სწავლის პროცესში ჩართვაში ეფექტიანობის შეფასება. მთლიანობაში, სერტიფიცირების სტატუსის მიხედვით განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ აღმოჩნდა.

**ქართველ მასწავლებლებში როგორც პროფესიით, ასევე სამუშაო ადგილით კმაყოფილება TALIS-ის ქვეყნების საშუალო მაჩვენებელზე მაღალია**: ქართველი მასწავლებლების მხოლოდ 12% ამბობს, რომ სკოლას შეიცვლიდა, TALIS-ის ქვეყნების საშუალო მაჩვენებელი კი 21%-ია. ქართველი მასწავლებლების 92% ეთანხმება დებულებას, რომ სიამაყით მუშაობს თავის სკოლაში, 90% თავის სკოლას რეკომენდაციას გაუწევდა, როგორც კარგ სამუშაო ადგილს, 91% კმაყოფილია საქმიანობის ხარისხით თავის სკოლაში, 89% კმაყოფილია თავისი სამსახურით.

მასწავლებლების სამსახურით კმაყოფილებაზე სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ეფექტი აქვს სტაჟს: **მასწავლებლად მუშაობის გამოცდილების ზრდასთან ერთად იკლებს სამსახურით კმაყოფილება.** ასევე მასწავლებლებისა და სკოლების ზოგიერთი მახასიათებლის გათვალისწინების შემდეგ, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ეფექტი აქვს საგანს, რომელსაც მასწავლებელი ასწავლის: ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებთან შედარებით მნიშვნელოვნად დაბალია სამსახურით კმაყოფილება მათემატიკის, საბუნებისმეტყველო საგნების, სოციალური მეცნიერებების მასწავლებლებში და მაღალია ხელოვნების, რელიგიის, სახელობო უნარების მასწავლებლებში.

## სკოლის დირექტორები და მათი საქმიანობა

**ტიპური დირექტორი საქართველოში 50 წლის ქალია (ქართველი დირექტორების 60% ქალია).** TALIS-ში მონაწილე ქვეყნების უდიდეს ნაწილში დირექტორებში ქალები ჭარბობენ (საშუალოდ 50%). თუმცა ქვეყნებს შორის განსხვავებები ძალიან თვალსაჩინოა. მაგალითისათვის, თუ ბრაზილიაში, ლატვიაში, რუმინეთსა და ბულგარეთში ქალი დირექტორების წილი 60%-ს აღემატება, იაპონიასა და კორეაში სკოლის დირექტორების 80%-ზე მეტი მამაკაცია. აღსანიშნავია, რომ ისევე, როგორც საქართველოში, TALIS-ში მონაწილე ქვეყნების უდიდეს ნაწილში გენდერული ბალანსი, მასწავლებლებთან შედარებით, რომელთა შორის უმეტესობა ქალია, დირექტორებს შორის უფრო მეტადაა დაცული.

ასაკობრივი განაწილების თვალსაზრისით, საქართველოში TALIS-ში მონაწილე სხვა ქვეყნების უდიდეს ნაწილთან შედარებით, მნიშვნელოვნად მაღალია 40 წლამდე ასაკის დირექტორების წილი.

**საქართველოში დირექტორობის კანდიდატებს არ მოეთხოვებათ არც პედაგოგიური განათლება და არც სკოლის მართვაში საუნივერსიტეტო განათლება.** ქართველი დირექტორების უდიდესი ნაწილი თვლის, რომ მათ მოსამზადებელ პროგრამაში შედიოდა როგორც პედაგოგიური, ასევე სასწავლო პროცესის მართვისა და სკოლის ადმინისტრირების კომპონენტები. **დირექტორების წილი, რომელთა მოსამზადებელ პროგრამაში დასახელებული კომპონენტები არ შედიოდა, TALIS-ში მონაწილე ქვეყნებს შორის ყველაზე დაბალი საქართველოშია.** საშუალოდ, TALIS-ში მონაწილე ქვეყნების დირექტორების 15% ამბობს, რომ მათ მოსამზადებელ პროგრამაში არ შედიოდა სკოლის ადმინისტრირების კომპონენტი, 10% ამბობს, რომ არ შედიოდა პედაგოგიკა და 22% ამბობს, რომ არ შედიოდა სასწავლო პროცესის მართვა. თუმცა, საქართველოში დირექტორების უდიდეს ნაწილს სკოლის მართვასა და ადმინისტრირებასთან დაკავშირებული საკითხები (გარდა პედაგოგიური კომპონენტისა) არა პროფესიაში შესვლამდე, არამედ პროფესიაში შესვლის შემდეგ აქვს შესწავლილი.

**სკოლის ადმინისტრირების კომპონენტი**, თავიანთ ფორმალიზებულ საგანმანათლებლო პროგრამაში (საუნივერსიტეტო პროგრამა, ტრენინგები), ქართველი დირექტორების 10%-მა გაიარა თანამდებობის დაკავებამდე, 68%-მა თანამდებობის დაკავების შემდეგ, ხოლო 18%-მა როგორც თანამდებობის დაკავებამდე, ასევე შემდეგ. TALIS-ში მონაწილე ქყეყნების უდიდეს ნაწილში დირექტორების ნახევარი მაინც სკოლის ადმინისტრირებას დირექტორის პოზიციის დაკავებამდე სწავლობს.

**სასწავლო პროცესის მართვა** ქართველი დირექტორების 19%-მა შეისწავლა თანამდებობის დაკავებამდე, ხოლო 24%-მა როგორც თანამდებობის დაკავებამდე, ასევე თანამდებობის დაკავების შემდეგ. 55%-მა სასწავლო პროცესის მართვის სასწავლო პროგრამა თანამდებობის დაკავების შემდეგ გაიარა. ასეთი მაჩვენებლებით საქართველო შეგვიძლია მივაკუთვნოთ ქვეყნების იმ ჯგუფს, რომლებშიც დირექტორები სასწავლო პროცესის მართვას, ძირითადად, თანამდებობის დაკავების შემდეგ სწავლობენ.

**პედაგოგიური კომპონენტი** ქართველი დირექტორების თითქმის ნახევარს (44%) თანამდებობის დაკავებამდე აქვს გავლილი, ხოლო 25%-ს როგორც დირექტორის პოზიციის დაკავებამდე, ასევე დირექტორად მუშაობის დროს. ქართველი დირექტორების 28%-მა ეს კომპონენტი მხოლოდ დირექტორის პოზიციის დაკავების შემდეგ შეისწავლა. საგულისხმოა, რომ დირექტორების წილი, რომლებმაც პედაგოგიკა თანამდებობის დაკავებამდე (ან შემდეგ) შეისწავლეს TALIS-ის ქვეყნებში საშუალოდ 84%-ია, ხოლო ქვეყნების უდიდეს ნაწილში (გარდა საქართველოს, ჩეხეთის, კვიპროსისა და პორტუგალიისა) 70%-ს აღემატება. მიუხედავად იმისა, რომ ეს შედეგები იმედის მომცემია და დირექტორობისათვის მომზადების შესაძლებლობების არსებობაზე მიუთითებს, გასათვალისწინებელია მომზადების პროგრამების თვისებრივი ფაქტორიც – რამდენად ეფექტიანია ის მოსამზადებელი პროგრამები, რომლებშიც ქართველმა დირექტორებმა მიიღეს მონაწილეობა.

ტიპურ ქართველ დირექტორს დირექტორად მუშაობის 10-წლიანი, მასწავლებლად მუშაობის 23-წლიანი და სხვა პოზიციებზე მუშაობის 6-წლიანი გამოცდილება აქვს. სკოლაში ადმინისტრაციულ პოზიციაზე მუშაობის გამოცდილების საშუალო მაჩვენებელი 8 წელია.

როგორც გამოკითხვიდან ირკვევა, საქართველოში, ისევე როგორც TALIS-ში მონაწილე ქვეყნების უდიდეს ნაწილში, სკოლებს მასწავლებლად ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მუშაობის გამოცდილების მქონე ხალხი მართავს. მაგალითისათვის, იაპონიასა და კორეაში საშუალოდ დირექტორებს მასწავლებლად მუშაობის, დაახლოებით 30 წლის გამოცილება აქვთ. TALIS-ში მონაწილე ქვეყნებში, საშუალოდ, დირექტორებს მასწავლებლად მუშაობის 21-წლიანი გამოცდილება აქვთ.

საქართველოში დირექტორების, დაახლოებით, 16% ამჟამინდელ სკოლაში დირექტორად 15 წელზე მეტია მუშაობს. საქართველოში 15 წელზე დიდი ხნის განმავლობაში ერთსა და იმავე სკოლაში დირექტორად მომუშავეთა წილი უფრო მაღალია სოფლის სკოლებში (18%), ვიდრე ქალაქის სკოლებში (12%) და კერძო სკოლებში (21%), ვიდრე საჯარო სკოლებში (16%). ეს მაჩვენებელი ასევე განსხვავდება დირექტორების სქესის მიხედვით: 15 წელზე მეტი ხნით ერთ სკოლაში დირექტორად მომუშავეთა წილი ქალებში 12%-ია, კაცებში კი – 21%.

TALIS-ში მონაწილე ქვეყნების უდიდეს ნაწილში დირექტორების უმრავლესობას სასწავლო პროცესის მართვის კომპონენტი დირექტორის პოზიციის დაკავებამდე აქვს გავლილი. სასწავლო პროცესის მართვა ქართველი დირექტორების 19%-მა შეისწავლა თანამდებობის დაკავებამდე, ხოლო 24%-მა როგორც თანამდებობის დაკავებამდე, ასევე თანამდებობის დაკავების შემდეგ. 55%-მა სასწავლო პროცესის მართვის პროგრამა თანამდებობის დაკავების შემდეგ გაიარა.

ქართველი დირექტორები, საშუალოდ, თავიანთი დროის 34%-ს უთმობენ ადმინისტრირებასა და მართვას, დროის მეოთხედს – სასწავლო გეგმასა და სწავლებასთან დაკავშირებული საკითხების წარმართვას, დროის მეხუთედს – მოსწავლეებთან ურთიერთობას, დროის, დაახლოებით, 12%-ს – მშობლებთან ურთიერთობას, დროის 7%-ს თემთან ურთიერთობას, დროის 4%-ს კი სხვა სამუშაოს.

საქართველოში სკოლის განვითარების გეგმის შემუშავება დირექტორის მოვალეობაში შედის. ბოლო პერიოდში განსაკუთრებული აქცენტი კეთდება მასწავლებლების პროფესიული განვითარების გეგმის შემუშავებაზეც. სკოლის დირექტორების კითხვარში შევიდა კითხვა იმის შესახებ – იყო თუ არა დირექტორი ჩართული ამ აქტივობებში გამოკითხვის ჩატარების დროისათვის ბოლო 12 თვის განმავლობაში.

ქართველი დირექტორების წილი, რომლებიც ასეთ აქტივობებში იყვნენ ჩართულნი TALIS-ის ქვეყნების საშუალო მაჩვენებელზე მნიშვნელოვნად მაღალია. ქართველი დირექტორების 94% ამბობს, რომ ბოლო 12 თვის განმავლობაში ჩართული იყო მოსწავლეთა შეფასების შედეგებზე დაყრდნობით სკოლის საგანმანათლებლო მიზნებისა და პროგრამების განვითარებაში და დირექტორების 87% ამბობს, რომ ბოლო 12 თვის განმავლობაში მონაწილეობა მიიღო სკოლაში პროფესიული განვითარების გეგმის შემუშავებაში. **თუ დირექტორების პასუხების მიხედვით ვიმსჯელებთ, საქართველოში, მოსწავლეთა შედეგებზე დაყრდნობით სკოლის განვითარების გეგმის განხორციელებაში ჩართული დირექტორების წილი უფრო მაღალია, ვიდრე კვლევაში მონაწილე აღმოსავლეთ ევროპულ ყველა ქვეყანაში. ასევე უფრო მაღალი, ვიდრე კარგად განვითარებული ანგარიშვალდებულების სისტემებისა და მაღალი ავტონომიურობის მქონე ქვეყნებში, როგორებიცაა, მაგალითად: ჰოლანდია და ავსტრალია.** ასეთი შედეგი შეიძლება აიხსნას იმ გარემოებით, რომ TALIS-ში მონაწილე ქვეყნების ნაწილში, მოსწავლეთა შედეგებზე დაყრდნობით, სკოლის საგანმანათლებლო მიზნებისა და პროგრამების განვითარება არ ატარებს ყოველწლიურ ხასიათს. **კიდევ ერთი მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ ქართველ და ჰოლანდიელ დირექტორებს განსხვავებულად ესმით მოსწავლეთა მოსწრებისა და შეფასების შედეგებზე დაყრდნობით სკოლის საგანმანათლებლო მიზნებისა და სასწავლო პროგრამებისა და სკოლის პროფესიული განვითარების გეგმის შემუშავება.**

TALIS-ის ქვეყნების საშუალო მაჩვენებლებს თუ შევადარებთ, ვნახავთ, რომ ქართველი დირექტორების ჩართულობა ისეთ აქტივობებში, როგორებიცაა სხვა სკოლების დირექტორებთან თანამშრომლობა და საკლასო დისციპლინის პრობლემების გადაჭრა, TALIS-ის ქვეყნების საშუალო მაჩვენებელზე მაღალია. თუმცა, ქართველ დირექტორებში მნიშვნელოვნად დაბალია ისეთი დირექტორების წილი, რომლებიც ძალიან ხშირად ან ხშირად მუშაობენ სწავლების ახალი მიდგომების შესამუშავებლად მასწავლებლებს შორის თანამშრომლობის წახალისებაზე.

საქართველოში ძალიან მაღალია ისეთი დირექტორების წილი (85%), რომლებიც პასუხისმგებლობას სკოლის ბიუჯეტის განაწილების შესახებ სასკოლო საზოგადოების სხვა წარმომადგენლებს – მასწავლებლებს, სამეურვეო საბჭოს ან სკოლის მართვის ჯგუფის სხვა წევრებს – უზიარებენ. მონაწილე ქვეყნებს შორის ეს ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

კვლევაში მონაწილე დირექტორების 61% ამბობს, რომ სკოლაში მოსწავლეთა დისციპლინის პოლიტიკისა და პროცედურების განსაზღვრაზე მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა სკოლის თემის სხვა წევრებს ეკისრებათ. ეს მაჩვენებელი ასევე მაღალია საქართველოში: დირექტორების 79% ამბობს, რომ მოსწავლეთა დისციპლინის პოლიტიკისა და პროცედურების განსაზღვრაზე მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა აკისრია სკოლის თემის სხვა წევრებს (სკოლის მართვის გუნდის სხვა წევრებს – 54%, მასწავლებლებს – 15%, სამეურვეო საბჭოს – 38%).

საქართველოში დირექტორები ძირითადად ეთანხმებიან დებულებას იმის შესახებ, რომ მათ სკოლაში თანამშრომლებს გადაწყვეტილების პროცესში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობებს სთავაზობენ, თუმცა, ამავე დროს, დირექტორების მესამედი ეთანხმება ან სრულიად ეთანხმება იმას, რომ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს დამოუკიდებლად იღებს. TALIS-ის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით საქართველოში დირექტორების მეტნაკლებად მცირე ნაწილი აცხადებს, რომ მათ სკოლებში მშობლებსა და მოსწავლეებს გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის შესაძლებლობას სთავაზობენ.

საქართველოში დირექტორებისათვის პროფესიული განვითარების ყველაზე გავრცელებული ფორმა **„კურსებში, ტრენინგებსა და გაცნობით ვიზიტებში მონაწილეობაა“** – გამოკითხვის დროისათვის, ბოლო 12 თვის განმავლობაში ქართველი დირექტორების 52%-ს მიუღია მონაწილება ამ აქტივობებში.

სხვა ქვეყნებთან შედარებით საქართველოში ნაკლებად გავრცელებულია **„პროფესიული ქსელის ფარგლებში მენტორობა ან კვლევის ჩატარება“** – ქართველი დირექტორების მხოლოდ 14%-ს მიუღია ასეთ აქტივობაში მონაწილეობა ბოლო 12 თვის განმავლობაში.

საქართველოში პროფესიული განვითარების აქტივობებში დირექტორების მონაწილეობა მნიშვნელოვნად განსხვავდება სკოლების მდებარეობის, დირექტორების სქესისა და ასაკის მიხედვით. **თუ ერთი წლის შედეგების მიხედვით ვიმსჯელებთ, ყველაზე აქტიურად პროფესიული განვითარების აქტივობებში 50-59 წლის დირექტორები მონაწილეობენ. ამ ასაკობრივ ჯგუფში მონაწილეობის მაჩვენებელი 83%-ია მაშინ, როცა 30-39 წლის დირექტორებში – 63%, 40-49 წლის დირექტორებში – 75%, ხოლოდ 60 წლისა და უფროსი ასაკის დირექტორებში – 78%.** მცირე, მაგრამ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები დაფიქსირდა სკოლების მდებარეობის მიხედვით: პროფესიული განვითარებისაკენ მიმართულ აქტივობებში მონაწილეობის მაჩვენებელი დაბალია სოფლად და ყველაზე მაღალია ქალაქებსა და მცირე ქალაქებში. თბილისში ეს მაჩვენებელი, სხვა ქალაქებთან შედარებით, დაბალია. კერძო და საჯარო სკოლების დირექტორებს შორის პროფესიულ განვითარებაში მონაწილეობის მიხედვით სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები არ დაფიქსირდა.

## დირექტორის კმაყოფილება სამსახურით

**საქართველოში, ისევე როგორც TALIS-ში მონაწილე ქვეყნების უდიდეს ნაწილში, დირექტორების უმეტესობა კმაყოფილია როგორც პროფესიით, ასევე სამუშაო ადგილით.**

→ 8

## TALIS

*მეშვიდე გვერდიდან*

საქართველოში დირექტორების 84% ამბობს, რომ დირექტორის პროფესიის უპირატესობები გადაწონის მის ნაკლოვანებებს. საქართველოში ეს მაჩვენებელი TALIS-ში მონაწილე ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს ემთხვევა. **დირექტორების 91% ეთანხმება იმ დებულებას, რომ თავიდან არჩევანის წინაშე დადგომის შემთხვევაში, მაინც დირექტორობას აირჩევდა და 95% არ ნანობს, რომ ეს პროფესია აირჩია. საგულისხმოა, რომ აღმოსავლეთ ევროპის ყველა სხვა ქვეყანაში (რუმინეთი, ბულგარეთი, სლოვაკეთი, სერბეთი, ლატვია, ჩეხეთი, სლოვაკეთი), პროფესიით დირექტორების კმაყოფილების მაჩვენებელი TALIS-ში მონაწილე სხვა ქყვენებთან შედარებით საქართველოს მაჩვენებელზე ასევე დაბალია.**

დირექტორების 81% ეთანხმება იმ დებულებას, რომ შერჩევის არსებული სისტემა უზრუნველყოფს ისეთი დირექტორის შერჩევას, რომელსაც შეუძლია სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვა და განხორციელება; 19% არ ეთანხმება ამ დებულებას. დირექტორების 84% ეთანხმება იმას, რომ არსებული სისტემა უზრუნველყოფს ისეთი დირექტორის შერჩევას, რომელსაც შეუძლია შეიმუშაოს და განახორციელოს სკოლის განვითარების გეგმა; 16% არ ეთანხმება ამ მოსაზრებას. დირექტორების 84% თვლის, რომ შერჩევის არსებული მექანიზმი არჩევს ისეთ დირექტორებს, რომელთაც შეუძლიათ მასწავლებლების პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა. დირექტორების ყველაზე დიდი ნაწილი (86%) ეთანხმება იმ დებულებას, რომ არსებული მექანიზმი უზრუნველყოფს ისეთი დირექტორების შერჩევას, რომელთაც სამინისტროს რეგულაციების შესრულება შეუძლიათ. დირექტორების 22% არ ეთანხმება იმას, რომ ასეთი ფორმით შერჩეულ დირექტორებს შეუძლიათ მშობლებთან თანამშრომლობა. ამ დამოკიდებულებებში არ დაფიქსირდა მნიშვნელოვანი განსხვავებები დირექტორების ან სკოლების მახასიათებლების მიხედვით.

გამოკითხვის ფარგლებში, დირექტორებსა და მასწავლებლს სთხოვეს, მნიშვნელოვნების მიხედვით შეეფასებინათ დირექტორების საქმიანობის შეფასების სხვა საგანმანათლებლო სისტემებში გავრცელებული ინსტრუმენტები. როგორც დირექტორებში, ასევე მასწავლებლებში დირექტორების შეფასების ყველაზე მისაღები ინსტრუმენტი **მოსწავლეთა მიღწევებია**: დირექტორების 40% ძალიან მნიშვნელოვნად და 54% მნიშვნელოვნად მიიჩნევს ამ ინსტრუმენტს დირექტორების შესაფასებლად, ხოლო მასწავლებლების 31% ძალიან მნიშვნელოვნად და 62% – მნიშვნელოვნად.

**თვითშეფასების ინსტრუმენტი** დირექტორებში პოპულარობით მეორე ადგილზეა – დირექტორების 34% დირექტორის შეფასების ამ ინსტრუმენტს ძალიან მნიშვნელოვნად, 60% კი – მნიშვნელოვნად მიიჩნევს. ამ ინსტრუმენტს მასწავლებლების 88% მიიჩნევს მნიშვნელოვნად.

დირექტორები ასევე მნიშვნელოვნად თვლიან **სამეურვეო საბჭოს მიერ დირექტორის შეფასებას** წინასწარ შეთანხმებული კრიტერიუმების მიხედვით. ამ ინსტრუმენტს დირექტორების 94% მიიჩნევს მნიშვნელოვნად და დირექტორების „რეიტინგში" მესამე ადგილზეა. მასწავლებლების უდიდესი ნაწილიც მიიჩნევს ამ ინსტრუმენტს მნიშვნელოვნად, თუმცა დირექტორებთან შედარებით უფრო სკეპტიკურად ეკიდებიან მას.

საინტერესოა, რომ **მასწავლებლების გამოკითხვის საშუალებით** დირექტორის შეფასება მასწავლებლებში პოპულარობით მეორე ადგილზეა. ამ ინსტრუმენტს დირექტორებში უფრო მეტი მომხრე ჰყავს, ვიდრე მასწავლებლებში. მასწავლებლების 24% და დირექტორების 32% თვლის მას ძალიან მნიშვნელოვნად და დირექტორების 62% და მასწავლებლების 65% მნიშვნელოვნად.

**მშობლების გამოკითხვის გამოყენებასაც** მასწავლებლებისა და დირექტორების უდიდესი ნაწილი ემხრობა. თუმცა ამ ინსტრუმენტის მიმართ სკეპტიკურად განწყობილთა წილი დირექტორებში მხოლოდ 7%, მასწავლებლებში კი – 21%-ია.

**მთლიანობაში, შეფასების გარე ინსტრუმენტების მიმართ შედარებით სკეპტიკურად დირექტორები არიან განწყობილნი.** რესურსცენტრის თუ სამინისტროს რომელიმე უწყების მიერ დირექტორის შეფასების იდეა აქამდე განხილულ ინსტრუმენტებთან შედარებით ნაკლებად მისაღები ჩანს. **ყოველი მეათე დირექტორი არ მიიჩნევს მნიშვნელოვნად რესურსცენტრისა თუ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რომელიმე უწყების მიერ დირექტორის შეფასებას.**

**დირექტორების ტესტირების გამოყენება დირექტორის შესაფასებლად მასწავლებლებში ყველაზე ნაკლებად პოპულარული აღმოჩნდა. ყოველი მესამე მასწავლებლის აზრით, ეს ინსტრუმენტი არ არის დირექტორის შეფასებისას მნიშვნელოვანი. დირექტორებში ამ ინსტრუმენტის გამოყენებას მნიშვნელოვნად 82% მიიჩნევს.**

*სწავლებისა და სწავლის საერთაშორისო კვლევის (TALIS) ეროვნული ანგარიშის ბოლო თავი ეთმობა რეკომენდაციებს, რომელთა გათვალისწინება უდავოდ შეუწყობს ხელს განათლების ეფექტური პოლიტიკის შემუშავებას; გაზრდის მასწავლებლებისა და დირექტორების პროფესიული განვითარების შესაძლებლობებზე წვდომას; შესაძლებელს გახდის, ასევე, სკოლის დირექტორის საქმიანობის შეფასების გამიჯვნას იმ შეფასებისაგან, რომელიც შერჩევას ემსახურება და დირექტორთა შერჩევის ეფექტიანი, გამჭვირვალე და დირექტორის სტანდარტთან მისადაგებული მექანიზმის შემუშავებას; მასწავლებლებისა და დირექტორების კომპეტენციების ზრდას და ზოგადად, განათლების სისტემის საერთაშორისო სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანას.*

მოამზადა
ლალი თვალაბეიშვილმა

## ქართული კალიგრაფია

# მისი ნაწერი განძად დაშთების

*„ხელი საბრალო მწერლისა მიწათა შინა ლპების,*
*ხოლო ნაწერი მის ჰგიეს ჟამთა ვიდრე უკუნისამდე!"*
ილუმენი ექვთიმე კერესელიძე



ქართველი ხალხი საუკუნეების განმავლობაში, თავისი განვითარების ყოველ საფეხურზე, მიუხედავად თავსდამტყდარი უამრავი ქარტეხილისა, ქმნიდა როგორც მატერიალურ, ასევე ინტელექტუალურ ფასეულობებს, ამდიდრებდა ერის სულიერ ღირებულებებსა და ეროვნულ-კულტურულ საგანძურს. ღვთითკურთხეული ქართული ანბანი კი ერის უდიდესი მონაპოვარია, რომელიც მსოფლიოში ცნობილ 14 ანბანს შორის ერთ-ერთი უძველესია.

სწორედ ქართული ანბანის უძველესი ისტორია ჰქონდა მხედველობაში გალაკტიონ ტაბიძეს, როცა წერდა: *„შენ, რომელიც მარად მზეებრ გვინათ, არა გუშინ, გაჩნდი თვალის ჩინად...", „შენ სიძველის გმოსავს ნელი ხავსი, ქვაზე ჭრილი, ხარ ჩუქურთმის მსგავსი..."*

ქართული ანბანი ქართველის ფესვია, მიწაა, მთელი საქართველოა, მისი ისტორიაა – წარსული, აწმყო და მომავალი... ამიტომ იწერებოდა, იხატებოდა, იმოსებოდა ქვებზე, ტყავზე, პაპირუსზე, ქაღალდზე. მრავალსაუკუნოვანი წარსულიდან მოაღწია ჩვენამდე, რომ კვლავ ღირსეულად შეიფარონ, უგალობონ, შეამკონ გრაგნილებად, ხელნაწერ წიგნებად და კურთხეულ ქართულ ენაზე აამეტყველონ... და რაოდენ სასიხარულოა, რომ საუკუნოებრივ ტრადიციას აფხაზეთიდან დევნილი ქართველი თვითნასწავლი კალიგრაფი, კონკურსში „ქართული კალიგრაფია" გამარჯვებული, პრიზიორი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეგობართა კავშირის წევრი, საქართველოს მხატვარ-კალიგრაფთა კავშირის წევრი, ქალბატონი **ლეილა ბაღბაია**, საოცარი ხელწერითა და განსაკუთრებული შემოქმედებითი ნიჭით, ეფერება და ელოლიავება ქართულ ანბანს. მის მიერ შესრულებული ნამუშევრები კერამიკაზე, ფაიფურზე, ტყავზე, ქვაზე თუ ქაღალდზე, ქართული ხელოვნებისადმი სიყვარულითა და უშრეტი ფანტაზიითაა გამორჩეული და ნატიფი ასოებით გამოხატული. მისი აზრით, ქართულ ანბანს, ჩვენი მრავალსაუკუნოვანი წარსულიდან ვაებითა და ტანჯვით მოღწეულს, თითოეული ქართველი სიყვარულითა და მოწიწებით უნდა ეპყრობოდეს. ხელოვნების კრიტიკოსები და ისტორიკოსები აღნიშნავენ, რომ ლეილა ბაღბაია ქართული კალიგრაფიის კონკურსის ნამდვილი აღმოჩენაა.



ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერ თანამშრომელი **ნესტან ბაგაური** წერს: *„ლეილა ბაღბაიას ნამუშევრები საინტერესოა იმითაც, რომ ცალკეული ნიმუშებით არ შემოიფარგლება და თავისი შემოქმედებით ავითარებს ამ დარგს, ქართულ ხელწერას. შესანიშნავად მუშაობს ფაიფურზე, კერამიკაზე, ქაღალდზე, აქვს ფართო ფანტაზია და ყველა შესაძლებლობა იმისათვის, რომ საზოგადოების წინაშე ლამაზი გამოფენითაც წარდგეს."*



მართლაც, 2012 წელს, USAID-მა და PH international-მა ლეილა ბაღბაიას, როგორც თვითნასწავლ, წარმატებულ კალიგრაფს, ნამუშევრების პერსონალური გამოფენა მოუწყო.

2013 წელს აფხაზეთის ა/რ უმაღლესმა საბჭომ ლეილა ბაღბაია განათლებისა და კულტურის სფეროში ღირსეულად გაწეული სამუშაოსთვის მადლობის სიგელით დააჯილდოვა. მისი ნამუშევრები გამოქვეყნდა წიგნში „ქართული კალიგრაფია VII-XXI საუკუნეებში", რომელიც გამოიცა საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთობლივი ძალისხმევით.

2015 წელი ლეილა ბაღბაიასთვის წარმატებული იყო, რადგან მისი ნამუშევრები იტალიაში, ქალაქ ფლორენციასა და ეგვიპტეში გამოიფინა და დიდი მოწონება ხვდა წილად.

2016 წლის 1 თებერვალს კი, აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის ორგანიზებით, საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის დარბაზში, გაიმართა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის აღსაყდრების 38-ე და დაბადების 83-ე წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა-წარდგინება. ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო ლეილა ბაღბაიას მიერ შესრულებული ქართული კალიგრაფიის ნიმუშები (150-მდე ნამუშევარი), ასევე გაიმართა სულიერებისა და კულტურის ცენტრის მიერ, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის კურთხევით, გამოცემული წიგნის „უფალი სუფევს, მშვენიერება შეიმოსა" წარდგინება. საღამოს უძღვებოდა აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის თავმჯდომარე, მუსიკათმცოდნე **სვეტლანა ქეცბა.**

ღონისძიებას ესწრებოდნენ: ჭიათურისა და საჩხერის მიტროპოლიტი **დანიელი (დათუაშვილი)**, წმ. ალექსანდრე ნეველის სახ. ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი **ბიძინა გუნია**, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი **ვახტანგ ყოლბაია**, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **გია (ელგუჯა) გვაზავა**, საქართველოს პარლამენტის წევრი **ელისო ჩაფიძე**, აფხაზეთის მთავრობისა და უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლები, სასულიერო და კულტურის სფეროს წარმომადგენლები.

ღონისძიებაზე **სალომე ცარციძისა** და მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის მევიოლინეთა ანსამბლის (ხელმძღვანელი – **ელენე ცარციძე**) მიერ შესრულდა პატრიარქის „ავე მარია".

**სვეტლანა ქეცბა**: *„წმ. სამების საკათედრო ტაძართან არსებულ ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში, დღეს, მნიშვნელოვან ღონისძიებას ვმასპინძლობთ – აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის მთავარი სპეციალისტის, კალიგრაფ ლეილა ბაღბაიას გამოფენასა და წიგნის „უფალი სუფევს, მშვენიერება შეიმოსა" პრეზენტაციას. იდეის ავტორია სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორე. ღონისძიებამ იმ ადამიანების სულიერი მოთხოვნილებები წარმოაჩინა, რომლებმაც წარმოდგენილი ნამუშევრები შექმნეს."*

**მეუფე დანიელი**: *„მინდა ყველას მოგილოცოთ დღევანდელი დღე და, უპირველეს ყოვლისა, მივულოცო ჩვენი ერის დიდ სულიერ წინამძღოლს, რომელსაც ეძღვნება დღევანდელი გამოფენა და, რასაკვირველია, მისი კურთხევით შექმნილი წიგნის პრეზენტაცია. მჯერა, რომ ეს არაჩვეულებრივი წიგნი, ისევე როგორც დღევანდელი არაჩვეულებრივი გამოფენა, კიდევ ერთი ნაბიჯია ჩვენი ერის, ჩვენი საზოგადოების სულიერი გაძლიერებისა და გამარჯვებისათვის, კიდევ ერთი ნაბიჯი – საქართველოს გამთლიანებისთვის, აფხაზეთში, სამაჩაბლოში მშვიდობის აღდგინებისთვის, ქართველთა და აფხაზთა, ქართველთა და ოსთა და ყველა ხალხებს შორის სიყვარულის აღდგინებისათვის. დიდი მადლობა კიდევ ერთხელ უწმიდესს, დიდი მადლობა ქალბატონ ლეილას, ქალბატონ სვეტლანას და ყველას, ვინც აქ ბრძანდებით."*

**ვახტანგ ყოლბაია**: *„მოგესალმებით. დიდი მადლობა მინდა მოვახსენო ქალბატონ სვეტლანას ამ საღამოსათვის. სულიერებისა კულტურის ცენტრი შექმნილია ჩვენი პატრიარქის ლოცვა-კურთხევით და ყველა საკითხისადმი შემოქმედებითი მიდგომით გამოირჩევა. დღევანდელი საღამო დიდებულად ასახავს იმ განწყობას, რომელიც უწმიდესის დაბადებისა და აღსაყდრების დღეს ეძღვნება. მადლობა ლეილა ბაღბაიას ასეთი გამოფენისათვის. მისი გამოფენა უნიკალურია. ქალბატონი ლეილა, თუ ერთადერთი არა, ერთ-ერთი საუკეთესო კალიგრაფია საქართველოში."*

# ქართული კალიგრაფია

**ელისო ჩაფიძე**: *„მოვედი დღეს თქვენთან, როგორც მეგობარი, ის ადამიანი, რომელიც ამაყობს, რომ ლეილა ბაღბაიაზე პირველი სტატია დაწერა გაზეთ „რეზონანსში“ და ალბათ, ეს ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი ფურცელია ჩემი ბიოგრაფიისა. ძალიან ამაღელვებელია ის, რასაც დღეს აქ ვხედავ, ძალიან მრავალი თვალსაზრისით. როგორ ელოლიავება ქალბატონი ლეილა ქართულ ასოებს, რომლებმაც ჩვენი ქვეყანა გადაარჩინა. სწორედ ამაზე დგას ჩვენი სარწმუნოება, ჩვენი ქვეყანა – ენაზე, მამულზე, სარწმუნოებაზე, ქართულ ასომთავრულზე, ქართულ დამწერლობაზე. დიდი მადლობა ამისათვის. ვინ ვართ, რანი ვართ, როგორ უნდა ვიცხოვროთ, რა ღირებულებები უნდა გვქონდეს – აი, ეს არის ის თემა, რაც უნდა გავაცნოთ ცივილიზებულ სამყაროს და რამაც უნდა გადაგვარჩინოს. ქართული დამწერლობა, ეს ლამაზი ასოები ყოველთვის უნდა არსებობდეს და მე ვიქნები ბედნიერი, თუ ერთ-ერთი პატარა ადამიანი ვიქნები, რომელიც ხელს შეუწყობს ყველაფერს ამას, ყველა იმ ნიჭიერ ადამიანს, რომელსაც თავის მხრივ შეუძლია რაღაც შემატოს ქართულ კულტურას. ღმერთმა გვიმრავლოს ასეთი ლამაზი საღამოები.“*

**ნიკოლოზ ჟღენტი**, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერ თანამშრომელი: *„ქალბატონი ლეილა ბაღბაია გამორჩეული იყო სხვადასხვა კონკურსებიდან. ის ერთ-ერთი საუკეთესო თვითნასწავლი კალიგრაფია საქართველოში. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი აფასებს მის შრომისმოყვარეობას, პასუხისმგებლობის გრძნობას , მის მიდგომას ქართული კალიგრაფიისადმი. მუდამ უანგაროდ გვეხმარება სხვადასხვა ღონისძიებებში. მუდამ ახლის ძიებაშია, დაინტერესებულია დარგის აღორძინებით და ძალიან კარგად მუშაობს ამ მიმართულებით. მისი ნამუშევრები გამორჩეულია დიდი რუდუნებით. ვცდილობთ, მის გვერდით ვიყოთ. მის ნიჭს განსაკუთრებით ვაფასებთ. მისმა ნამუშევრებმა ფლორენციასა და ეგვიპტეში მნახველის დიდი მოწონება დაიმსახურა. ვუსურვებთ მომავალ წარმატებებს ქართული კალიგრაფიის განვითარებაში.“*

**ბელა კოპალიანი**, ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის პირველი მოადგილე: *„მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ქართული ანბანის პოპულარიზაცია ქართველი ერის უპირველესი საზრუნავია. სწორედ ამიტომაა, რომ მე მხარს ვუჭერ უნიჭიერეს კალიგრაფს – ლეილა ბაღბაიას. ჩემი ინიციატივით, USAID-მა და PH international-მა მას პერსონალური გამოფენა მოუწყვეს.*

*აფხაზეთის ა/რ მთავრობისა და რომუალდო დელ ბიანკოს ფონდის თანამშრომლობით, განხორციელდა პროექტები: „კულტურული მემკვიდრეობის ევროპული და ეროვნული ასპექტები“ და „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა – აფხაზეთი“. პროექტის ფარგლებში, შედგა ლეილა ბაღბაიას კალიგრაფიული ნამუშევრების გამოფენა იტალიის ქალაქ ფლორენციის ალ დუომოს საგანმანათლებლო დარბაზში. მის ნამუშევრებს უდიდესი მოწონება ხვდა წილად. მჯერა, ქალბატონი ლეილა თავის სიტყვას იტყვის ქართული კალიგრაფიის პოპულარიზაციის საქმეში.“*

**თინა ჩუბინიძე**: *„მინდა დღეს ბატონი ჯანო ჯანელიძე გავიხსენო, რომელმაც დამიჯერა და იწამა ლეილასი. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული. დღევანდელ გამარჯვებამდე რომ მოსულიყო, ლეილამ ძალიან დიდი გზა განვლო. მას ერთი პატარა ოთახი მივუჩინეთ განათლების სამინისტროს კორპუსში. ის ძველ კალიგრაფებს მოგაგონებდათ, ხანდახან ცივ ოთახში უხდებოდა მუშაობა, მაგრამ მაინც მუშაობდა. თითოეული ასო გამოყვანილია ქართული ორნამენტებით და, რაც მთავარია, თოთოეული არის ნოსტალგია და სიყვარული იმ მშობლიური კუთხისა, რომელსაც აფხაზეთი ჰქვია. მინდა მივესალმო ლეილას, ვუსურვო წარმატებები და კიდევ ერთი სურვილი მინდა გავაჟღერო: ძალიან კარგი იქნება, თუ ჩვენი განათლების სისტემის მუშაკები გაითვალისწინებენ და შექმნიან კალიგრაფიის სკოლებს, როგორც ეს იყო წინათ, ტაო-კლარჯეთში, სადაც მესხიშვილების მოდგმა აკეთებდა ამ დიდებულ საქმეს. თუ ამას გამოეხმაურება აფხაზეთის მთავრობა და, საერთოდ, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო, მადლობელი ვიქნები. ვუსურვოთ ლეილას ამ დიდებული გზის გაგრძელება და მრავალი თაობის აღზრდა.“*

**ელგუჯა გვაზავა**: *„მოგესალმებით. სიმართლე გითხრათ, დღეს ძალიან ბედნიერი ვარ თქვენთან შეხვედრით. პირველ რიგში, მადლობა ქალბატონ სვეტლანას, ქალბატონ ლეილას, რომლებმაც დიდებული საღამო გვაჩუქეს. რა თქმა უნდა, პატრიარქს, იმიტომ, რომ ის, რასაც უწმიდესი აკეთებს, ჩვენი ერის მენტალურ ჯანმრთელობას ემსახურება. ჩვენი დამწერლობა გამორჩეულია და ერთ-ერთი ულამაზესია დედამიწაზე. პატრიარქის ლოცვა-კურთხევით და თქვენი ღვაწლით, კიდევ დიდხანს იქნება ასე. მარტო იმიტომ არის დასაფასებელი ლეილას მოღვაწეობა, რომ მან „იშვილა“ ქართული დამწერლობა და მთელი თავისი ენერგია, სიყვარული ჩადო ამ საქმიანობაში, რომ ეჩვენებინა, რა ლამაზია ქართული ანბანი, ქართული დამწერლობა.“*

**გენო კალანდია**, აფხაზეთის ლიტერატურისა და ხელოვნების შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარე: *„ამაღლებული საღამოა. დღეს ამ დარბაზში ქართული სული ზეიმობს. ვეზიარეთ მშვენიერებას წიგნისა „უფალი სუფევს, მშვენიერება შეიმოსა“ და შესანიშნავი კალიგრაფის, ლეილა ბაღბაიას ნამუშევრების გამოფენას. ქართულ კალიგრაფიაში ქართველთა უძველესი ფესვებია ჩაკირული. ეს გამოფენა დასტურია იმისა, რომ საქართველოში გაძლიერდა ინტერესი ქართული კალიგრაფიისადმი. ლეილა ბაღბაიამ შეისისხლხორცა ქართული ანბანი.“*

**გიორგი სისაური**, კალიგრაფი, პოეტი: *„ქართული და არაბული კალიგრაფიის ხელოვნება, განსხვავებული ხაზები – საერთო გრძნობა“ – ამ სახელწოდებით გამოიფინა, 2015 წლის 25 ნოემბერს, კაიროში, ძველი ქალაქის ისტორიულ შენობაში, „ბეით ეს-სუჰაიმის“ კულტურულ ცენტრში ქართული კალიგრაფიული ნამუშევრები. სულ წარმოდგენილი იყო 15 ეგვიპტელისა და 17 ქართველი კალიგრაფის, მათ შორის ქალბატონ ლეილა ბაღბაიას ნამუშევრები. ქართულმა დამწერლობამ და მისმა ისტორიამ დიდი ინტერესი გამოიწვია. განსაკუთრებით აღინიშნა ქალბატონ ლეილას ნამუშევრების სილამაზე, მოხაზულობა და სინატიფე.“*

**დავით კინწურაშვილი**, საქველმოქმედო ფონდ „მომავლის გზის“ თავმჯდომარე: *„დღეს ამაღლებული დღეა. წმ. სამების საკათედრო ტაძართან არსებულ ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში გაიმართა აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის მთავარი სპეციალისტის, „წლის ყველაზე ერთგული ქველმოქმედის“ ტიტულის მფლობელის, ყველასთვის საყვარელი, უნიჭიერესი ქალბატონის, ლეილა ბაღბაიას ნამუშევრების გამოფენა. აღფრთოვანებული ვათვალიერებ მის ნამუშევრებს, ის უდიდეს ეროვნულ საქმეს აკეთებს. დიდი მადლობა მას.“*

**ლეილა ბაღბაია**: *„ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია დღევანდელი დღე, რადგან გამოფენა მიეძღვნა უწმიდესისა და უნეტარესი ილია II-ის აღსაყდრებიდან 38-ე და დაბადებიდან 83-ე წლისთავს. ბედნიერი ვარ იმითაც, რომ ეს არის ჩემთვის უდიდესი ჯილდო, რაც კი მქონია ცხოვრებაში. მსგავსი გამოფენებით ჩვენ პოპულარიზაციას ვუწევთ მოზარდებში ხელით წერის ძველი კულტურის აღორძინებას, წარმორჩენასა და შენარჩუნებას, შემოქმედებითი უნარის ხელშეწყობას. ვისურვებდი, მომავალ თაობებს ჰქონდეთ ქართული ანბანის განსაკუთრებულობის შეგრძნების უნარი, ლამაზად წერის ინტერესი და პატივისცემა მისადმი. ღონისძიების იდეის ავტორია ყველასათვის საყვარელი აფხაზი ქალბატონი სვეტლანა ქეცბა. მადლობას ვუხდი დღევანდელი ამაღლებული დღისთვის და მინდა საჩუქრად გადავცე ჩემ მიერ შესრულებული კალიგრაფიული ნამუშევარი. ასევე თავს უფლებას მივცემ, მადლობა გადავუხადო ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს იმისათვის, რომ მომეცა შესაძლებლობა, საზოგადოების წინაშე წარვდგე გამოფენით. დიდი მადლობა, ასევე, აფხაზეთის ა/რ მთავრობას, აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრს, პროექტის კოორდინატორებს –* ***ლეილა თორიასა*** *და* ***ია პაპასქირს****.“*

გვჯერა, რომ ქალბატონი ლეილა, სხვა დევნილ საზოგადოებასთან ერთად, მშობლიურ აფხაზეთში მალე დაბრუნდება და თავისი ნატიფი ხელწერით ქართველ ბავშვს ქართული ანბანის სიყვარულს ჩაუნერგავს და მშვენიერებას აზიარებს.

მედეა ზუხბაია







## *იურისტის კონსულტაცია*

### ვარ პედაგოგი, გამოვიყენე კუთვნილი ანაზღაურებადი შვებულება. მაქვს თუ არა უფლება გავიდე ანაზღაურების გარეშე შვებულებაში და რა ვადით?

დიახ, თქვენ გაქვთ უფლება ისარგებლოთ ანაზღაურების გარეშე შვებულებით, არანაკლებ, წელიწადში 15 კალენდარული დღისა.

### ვალდებულია პედაგოგი, არასაგაკვეთილო საათების პერიოდში იმყოფებოდეს სკოლაში?

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №126/ნ ბრძანების მიხედვით: *„მასწავლებლისათვის თანამდებობრივი სარგოს მიცემა სამუშაო საათების მიხედვით არ ნიშნავს, რომ იგი საგაკვეთილო საათების, სასკოლო დოკუმენტაციის წარმოებისა და მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობისათვის საჭირო დროის გარდა აუცილებლად უნდა იმყოფებოდეს სკოლაში. მასწავლებელს უფლება აქვს, მისი სამუშაოს ნაწილი – პროფესიულ განვითარებაზე მუშაობა, გაკვეთილებისათვის მომზადება და სხვა, შეასრულოს სკოლის გარეთ“.*

### დასაშვებია თუ არა პედაგოგთან 1 წელზე ნაკლები ვადით შრომითი ხელშეკრულების დადება?

შრომითი ხელშეკრულება 1 წელზე ნაკლები ვადით შეიძლება დაიდოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

- ❖ შესასრულებელია კონკრეტული მოცულობის სამუშაო;
- ❖ შესასრულებელია სეზონური სამუშაო;
- ❖ სამუშაოს მოცულობა დროებით იზრდება;
- ❖ შრომითი ურთიერთობის შეჩერების საფუძვლით ხდება სამუშაოზე დროებით არმყოფი დასაქმებულის ჩანაცვლება;
- ❖ არსებობს სხვა ობიექტური გარემოება, რომელიც ამართლებს ხელშეკრულების განსაზღვრული ვადით დადებას.

მასწავლებლის სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, თუ არ არსებობს ზემოხსენებული ჩამონათვალიდან ერთ-ერთი გარემოება, დაუშვებელია 1 წელზე ნაკლები ვადით პედაგოგთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმება.

### ანაზღაურებად შვებულებაში ყოფნის დროს გავხდი ცუდად, რაც დაფიქსირებულია საავადმყოფო ფურცელში. ამ შემთხვევაში როგორ გამოითვლება ჩემი შვებულებაში ყოფნის დრო?

შვებულებაში ყოფნის დროს, დროებითი შრომისუუნარობის დაწყების შემთხვევაში, დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარება გაიცემა დროებითი შრომისუუნარობის მთელ პერიოდზე. ამ შემთხვევაში, შვებულების დღეები გადაიწევს საავადმყოფო ფურცელში მითითებული დღეების რაოდენობით.

### ახალშობილის შვილად აყვანის შემთხვევაში, მაქსიმუმ, რამდენდღიანი შვებულება შეიძლება მომეცეს?

დასაქმებულს/მოსამსახურეს, რომელმაც იშვილა ერთ წლამდე ასაკის ბავშვი, თავისი მოთხოვნის საფუძველზე, ეძლევა შვებულება, ბავშვის დაბადებიდან 550 კალენდარული დღის ოდენობით. აქედან, ანაზღაურებადია მხოლოდ 90 კალენდარული დღე.

*საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა*
*თავისუფალი პროფკავშირის*
*იურიდიული დეპარტამენტი*

# თეთრი უნივერსიადა



ამ დღეებში ბაკურიანში დაიწყო „ზამთრის უნივერსიადა-2016“, რომლის ორგანიზატორია საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაცია, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან ერთად, გენერალური სპონსორი – „კავკასუს ონლაინი“.

ზაფხულის ანალოგიური ღონისძიების პარალელურად, საქართველოში, ზამთრის უნივერსიადასაც თავისი ისტორია აქვს, თუმცა მასშტაბებით ზაფხულისას ჩამოუვარდება. ახლანდელ ღონისძიებაში სულ სამი სახეობაა წარმოდგენილი და აქედანაც ერთი – პარალელური გიგანტური სლალომი – გოგონებშიც და ბიჭებშიც პროგრამას წლეულს დაემატა. უნივერსიადის „ძველი“ სახეობებია: სათხილამურო კროსი, რომელიც ასევე ორივე სქესის წარმომადგენელთა შორის გაიმართება და სნოუბორდ-კროსი, რომელიც მხოლოდ ვაჟებში ჩატარდება.

ბუნებრივია, ორგანიზატორებს უნივერსიადაში ზამთრის სპორტის საქართველოში განვითარებული ყველა სახეობის ჩართვა სურთ, თუმცა ფინანსები მეტის საშუალებას არ აძლევთ. ასევე უფულობის გამო, შეზღუდულია მონაწილეთა რაოდენობაც – უნივერსიადაში საქართველოში აკრედიტებული უკლებლივ ყველა უმაღლესი სასწავლებელი მონაწილეობს, მაგრამ სპორტსმენთა რაოდენობა, მაქსიმუმ, 120 იქნება. არადა, მსურველი გაცილებით მეტია.

# მედვედიდან დათუნიამდე

მინსკში, სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონ **ალექსანდრ მედვედის** თასის პარალელურად, ჩატარდა მისივე სახელობის საერთაშორისო ტურნირი ჭაბუკთა შორის „დათუნია-2016“, რომელიც ძალიან წარმომადგენლობითი გამოდგა – 15 ქვეყნის 400-მდე მოზარდი.

ტურნირში ჩვენი ნაკრებიც მონაწილეობდა გაფართოებული შემადგენლობით. **გიორგი იანტბელიძე**, წელს, ახალ გუნდს აყალიბებს ევროპის ჩემპიონატისთვის და, ოპტიმალური ვარიანტის მისაღებად, ყველა შანსს იყენებს. მინსკშიც ამიტომ წაიყვანა მოზრდილი გუნდი, თუმცა, მანამდე რამდენიმე შეჯიბრებაშიც გამოსცადა შეგირდები.

ჩვენებმა მინსკში 4 მედალი მოიპოვეს – 2-2 ვერცხლ-ბრინჯაო. ვიცე-ჩემპიონები ბათუმელი **რამაზ თურმანიძე** (54) და ქარელელი **სიმონ ოსკანიანი** (85) გახდნენ, მესამეზე კი ბათუმელი **ლუკა ქარჩხაძე** და ქუთაისელი **დიმიტრი სალდაძე** (ორივე – 42) გავიდნენ.

# პატარა ოლიმპიადის პატარა შედეგი

ზამთრის დიდი ოლიმპიადის მასპინძელ ნორვეგიულ ლილეჰამერში მიმდინარეობს პატარა ოლიმპიადა – ევროპის ზამთრის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი, რომელსაც, თავისი ზაფხულის კოლეგასგან განსხვავებით, ხანმოკლე ისტორია აქვს – მხოლოდ მეორედ ტარდება. საქართველოდან მასში სულ ორი სპორტსმენი მონაწილეობს – მოციგავე **ლასა ფერაძე** და **ბესარიონ ჯაფარიძე**, რომელიც სამთო თხილამურობის ორ დისციპლინაში – სლალომსა და გიგანტურ სლალომში გამოვიდა.

ნორვეგიაში ჩვენებმა მედალი ვერ მოიპოვეს, თუმცა 15 წლის ბაკურიანელი ფერაძის გამოსვლას ურიგოც არ ეთქმის: მოციგავეთა ტურნირში მე-11 ადგილზე გავიდა, რაც ჩვენთვის ცუდი შედეგი არაა, რადგან სპორტის ამ სახეობაში პირობები თითქმის არ გვაქვს. ფერაძე პირველ სტარტში მე-10 იყო, მეორეში – მე-13, ჯამურად კი მე-11 ადგილი ერგო. მან უკან ჩამოიტოვა რამდენიმე ძლიერი ქვეყნის წარმომადგენელი: უკრაინის, ჩეხეთის, შვედეთის, აშშ-ს...

სამწუხაროდ, სლალომში წარუმატებლად ისრიალა 17 წლის მესტიელმა ჯაფარიძემ – გიგანტურში 32-ე ადგილზე გავიდა, მეორე სტარტში კი 28-ე იყო.



# გორმა კრივის მომავალი შეამოწმა

გორში გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი ჭაბუკ მოკრივეთა შორის, რომელშიც 150-მდე მოზარდი მონაწილეობდა. ყველაზე მეტი ოქროს მედალი თბილისმა მოიპოვა – 4, მეორეზე გორელები გავიდნენ 3 ოქროთი, მესამეზე ფოთია 2-




ით, ხოლო თითო ჩემპიონი გაუხდათ ზუგდიდს, ქუთაისს, ვარიანსა და ხობს.

თბილისელთაგან ჩემპიონები გახდნენ: **დავით გვასალია** (46), **ვაჟა მურადაშვილი** (57), **გიორგი შარაშენიძე** (60) და **ვალიკო ლონდარიძე** (80). მასპინძელ გორელებს ოქროს მედლები **გიორგი თოთლაძემ** (54), **ზურაბ მენაბდიშვილმა** (62) **ილია მწარიაშვილმა** (75) მოუტანეს, ფოთელთაგან კი ანალოგიური მიღწევა **გონერი მარშავამ** (50) და **თემურ ჯგერენაიამ** (63) იზეიმეს. გორელთა გასახარად, ვარიანელმა მოკრივემ გაიმარჯვა 70 კილოგრამშიც – **ოთარ კარელიძემ**. სხვა წონებში ჩემპიონები ხობელი **ბაკურ ჩიქოვანი** (48), ზუგდიდელი **ლექსო ხასაია** (52) და ქუთაისელი **მათე კვანტალიანი** (+80) გახდნენ.

თუმცა ამ ქალაქების გარდა, მედალოსანთა შორის კრივისთვის „უცხო“ რამდენიმე რაიონიცაა, რაც სპორტის ამ სახეობის პოპულარობის ზრდაზე მიუთითებს – გურჯაანი, ლაგოდეხი, გარდაბანი, მარნეული, ხოლო საჩხერეში, ჭიათურაში, ახალქალაქში, ბათუმსა და სხვაგან კრივს უკვე გარკვეული ტრადიცია აქვს.

გორელთა ორგანიზაციულ მარიფათს და ტურნირის დონეს მაღალი შეფასება მისცა საქართველოს კრივის ფედერაციის პრეზიდენტმა, ევროპის ჩემპიონმა დავით კვაჭაძემ, ხოლო ჭაბუკთა ნაკრების მწვრთნელი **ლაშა დუნდუა** მოზარდების მომზადებით დარჩა კმაყოფილი. მან ცალკეული სპორტსმენებიდან 54 კილოგრამის ფინალისტები – თოთლაძე და ქუთაისელი **ივერი გრიგოლაშვილი** გამოარჩია. აგრეთვე, 46-ის ფინალისტები – გვასალია და ვარიანელი **მამუკა აბულაძე**.

საქართველოს ჩემპიონატის პირველ-მეორე ნომრებისგან დაკოპლექტდება ჭაბუკთა ნაკრები, რომელიც, ამ დღეებში, თბილისში, აზერბაიჯანელ თანატოლებთან ერთად, გაივლის შეკრებას, 15-20 მარტს კი, მოსკოვში გამოვა უმაღლესი კატეგორიის ტურნირში. ამის შემდეგ ჩვენები, უკვე, აზერბაიჯანში გაივლიან ერთობლივ შეკრებას, სადაც მასპინძლებთან ერთად ყაზახეთის და უზბეკეთის გუნდებიც იქნებიან. მისი დასრულების შემდეგ, იქვე, ჰეიდარ ალიევის ხსოვნის ტურნირშიც მიიღებენ მონაწილეობას. ამის შემდეგ საქართველოში დაბრუნდებიან, სადაც უნგრეთში გასამართ ევროპის ჩემპიონატამდე კიდევ ორ შეკრებას გაივლიან.

*რუბრიკა მოამზადა*
ირაკლი თავაძემ

წიგნის თარო

## მასწავლებლის ბიბლიოთეკა

### მასწავლებლის სამუშაო რვეული



**მასწავლებლის სამუშაო რვეული** პორტფოლიოს განუყოფელი ნაწილია. რვეულის სტრუქტურა საშუალებას აძლევს მასწავლებელს:
1. საჭიროებისამებრ შეავსოს გაკვეთილის დაგეგმვის სქემების მოკლე ან სრული ვარიანტები;
2. გაეცნოს გაკვეთილის დაგეგმვის რეკომენდაციებს;
3. გაეცნოს გაკვეთილის მოკლედ და დეტალურად დაგეგმვის ნიმუშებს.

**4 ლარი**

### კათედრის გამგის პორტფოლიო



**კათედრის გამგის პორტფოლიო** საშუალებას აძლევს კათედრის გამგეს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საქმიანობები. შესავსები სქემების, ცხრილებისა და კათედრის სხდომის ოქმების გარდა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კათედრის ხელმძღვანელს პორტფოლიოს წარმოებაში და მისი საქმიანობის განხორციელებაში.

**6 ლარი**

### ინტერაქტიური მეთოდების კრებული



კრებულში აღწერილია **ინტერაქტიური სწავლების მეთოდები**; მოცემულია თითოეული მეთოდის გამოყენების ეტაპობრივი აღწერა; განხილულია, რა უნარებს ავითარებს თითოეული მეთოდი; დასახელებულია თითოეული მეთოდის გამოყენების წინაპირობა. კრებულში თავმოყრილია 50-მდე მეთოდის აღწერა.

**6 ლარი**

### მასწავლებლის კალენდარი



2015-2016 სასწავლო წლის კალენდარი ისეა შედგენილი, რომ მასწავლებელს მთელი სასწავლო წლის განმავლობაში შეუძლია **დაგეგმოს და ჩაინიშნოს** მისთვის საჭირო და სასურველი აქტივობები და ინფორმაციები. კალენდარი ყოველკვირეულად აწვდის მასწავლებელს მისთვის მნიშვნელოვან პრაქტიკულ, **პედაგოგიურ რჩევას თუ საჭირო ინფორმაციას.**

**კალენდარს ახლავს** პირველი და მეორე სემესტრისთვის განკუთვნილი შესავსები გაკვეთილების ცხრილი, მნიშვნელოვანი აქტივობების რეესტრი და თავისუფალი ფურცლები, რაც მოსახერხებელია, რათა მასწავლებელს ყველა საჭირო ინფორმაცია ერთად ჰქონდეს განთავსებული.

**5,50 ლარი**

შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით: 599880073, 0322958023

წიგნის თარო

# მიმდინარეობს ხელმოწერა

## მასწავლებლის ბიბლიოთეკა



პუბლიკაცია მოიცავს დაწყებითი კლასების მასწავლებლებისთვის საინტერესო საკითხებს. წიგნში მიმოხილულია შემდეგი თემები: ადრეული განათლების მნიშვნელობა ბავშვის შემდგომი განვითარებისთვის, სასკოლო მზაობის ცნება და დახმარების სტრატეგიები სკოლასთან ადაპტაციისთვის, სოციალურ-ემოციური სფეროს განვითარების ხელშეწყობა და კონკრეტული რეკომენდაციები, სწავლის მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობა, სასწავლო მიზნების ფორმულირება, კრიტიკული აზროვნების, მათემატიკური უნარების, მეტყველების განვითარება და კონკრეტული რეკომენდაციები ზეპირმეტყველებისა და წერითი დავალებებისათვის, კითხვის მნიშვნელობა და კითხვის უნარის სპეციფიკური დარღვევა-დისლექსია, ფიზიკური განვითარების ხელშეწყობა და რეკომენდაციები მოძრავი თამაშებისთვის, განმავითარებელი შეფასების საშუალებები, მშობლებთან თანამშრომლობა, საკლასო ოთახის მოწყობის სპეციფიკა, კლასის მართვის სტრატეგიები.



წინამდებარე სახელმძღვანელოში ავტორების მიერ პრაქტიკულად არის ახსნილი ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის უმნიშვნელოვანესი საკითხების სწავლების მეთოდიკა როგორც პირდაპირი (დედუქციური), ისე არაპირდაპირი (ინდუქციური) სწავლების თვალსაზრისით. სახელმძღვანელო დაეხმარება მასწავლებელს გაკვეთილის დაგეგმვისა და დაგეგმილი გაკვეთილის ეფექტურად ჩატარების პროცესში.

**თითოეულის ფასი – 7,30 ლარი**



*თამაზ ვასაძე*

**ქართული აგიოგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის**

4 ლარი






წიგნი I
ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II
„ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III
XIX საუკუნის მწერლობა
წიგნი IV
XX საუკუნის მწერლობა

თამარ გელიტაშვილი,
ამირან გომართელი

თითოეული კრებულის ფასი – 12 ლარი



*საკვარჯიშო რვეული ქართულ მართლწერაში*

10 ლარი

## საყმაწვილო ენციკლოპედია

*თითო ტომის ფასი – 12 ლარი*

| | |
|---|---|
| ავტომობილი | ვიკინგები |
| სამურაი | ფიზიკა |
| უდაბნო | ახსნილი და აუხსნელი |
| გამოგონებები | ფენომენები |
| განძის ძიება | კოშკები და ცათამბჯენები |
| გლადიატორები | უძველესი ადამიანები |
| დრო და კალენდარი | მათემატიკა |
| ძველი ეგვიპტე | ძველი რომი |
| ევროპა | ძველი საბერძნეთი |



რა არის რა

**აქცია**

**მთავაზობთ 10 ტომს ენციკლოპედიების სერიიდან „რა არის რა“ სპეციალურ ფასად. პირველი 10 ხელმომწერი თითო ტომს, 12 ლარის ნაცვლად, 7 ლარად მიიღებს.**


ამინდი


არქიტექტურა


კრიმინალისტიკა


ჯანსაღი კვება


მთები


ოლიმპიური თამაშები


მეკობრეები


ქიმია


ხალხთა დიდი გადასახლება


მეცნიერებები

## თემატური პლაკატები

### დაწყებითი კლასებისთვის

(42X59.4 სმ)

1. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
2. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
3. ფერები
4. გარეული ცხოველები
5. გარეული ფრინველები
6. პროფესიები
7. შინაური ცხოველები და ფრინველები
8. ჰიგიენის ნივთები
9. საოჯახო ნივთები
10. ტრანსპორტი
11. ზღვის ბინადრები
12. ტანსაცმელი
13. ხილი
14. ბოსტნეული
15. ჩემი სხეული
16. ფორმები
17. რიცხვები
18. რის შვილს რა ჰქვია
19. მწერები
20. ამინდი
21. მცენარეები
22. საპირისპირო ცნებები
23. ქალაქში
24. სოფელში
25. სპორტის სახეობები
26. ზღაპრის გმირები
27. ჩემი საქართველო
28. ქართული ანბანი
29. ინგლისური ანბანი
30. რომელი საათია

ფასი – 2.90 ლარი

### მაღალი კლასებისთვის

(59.4X84.1 სმ)

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საქართველოში
3. გარეული ცხოველები საქართველოში
4. მწერები
5. ქვეწარმავლები საქართველოში
6. საქართველოს მცენარეები
7. სამყაროს წარმოშობა
8. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. ზღვის დინებები
11. ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა
12. ქართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
13. მსოფლიოს შვიდი საოცრება

ფასი – 4 ლარი

**მითითებულია ერთი ცალის ფასი**

**ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:**
მიმღები – შპს „ახალი განათლება“,
ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
ყურადღება! ფიზიკურმა პირებმა, თანხის გადმორიცხვისას, მიუთითეთ პირადი ნომერი

## მწერალთა პორტრეტები

(34X47 სმ)

1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. აკაკი წერეთელი
6. კონსტანტინე გამსახურდია
7. პაოლო იაშვილი
8. სულხან-საბა ორბელიანი
9. პოლიკარპე კაკაბაძე
10. გურამ რჩეულიშვილი
11. დავით გურამიშვილი
12. ბესიკი
13. რევაზ ინანიშვილი
14. თეიმურაზ I
15. ვახტანგ VI
16. გიორგი მერჩულე
17. გრიგოლ ორბელიანი
18. დავით აღმაშენებელი

4 ლარი

## რეპროდუქციები

1. **ჰორაციუსთა ფიცი,** ჟაკ-ლუი დავიდი
2. **მწყემსთა თაყვანისცემა,** დომენიკო გირლანდაიო
3. **ადელ ბლოხ-ბაუერის პორტრეტი,** გუსტავ კლიმტი
4. **მენინები,** დიეგო ველასკესი
5. **დელფოსელი სიბილა,** მიქელანჯელო
6. **მხატვრის ბაღი,** კლოდ მონე
7. **უძღები შვილის დაბრუნება,** რემბრანდტი
8. **საქანელა,** ოგიუსტ რენუარი
9. **საკვირაო გასეირნება გრან ჟატის კუნძულზე,** ჟორჟ სიორა

6.5 ლარი

## მსოფლიო კლასიკოსები

**მკვდარი სახლის ჩანაწერები,** თეოდორე დოსტოევსკი
**ცოლთა სკოლა,** ანდრე ჟიდი
**გზა ელიტისკენ,** ჯონ ბრეინი
**რჩეული მოთხრობები,** ნიკოლოზ გოგოლი
**ტალღებზე მორბენალი,** ალექსანდრე გრინი
**ტკბობა,** გაბრიელე დანუნციო
**დედაჩემი,** ალბერ კოენი
**კავკასია,** ალექსანდრე დიუმა
**დონ კიხოტის დაბრუნება,** გილბერტ კით ჩესტერტონი
**დროის ინსტიტუტი,** აჰმედ ჰამდი ტანტინარი
**ეფი ბრისტი,** თეოდორ ფონტანე
**ილელი ვენერა,** პროსპერ მერიმე
**კავკასიური მოთხრობები,** ლევ ტოლსტოი
**კვარტერონი,** მაინ რიდი
**ლორდი ჯიმი,** ჯოზეფ კონრადი
**მადამ ბოვარი,** გუსტავ ფლობერი
**სპარსული წერილები,** შარლ ლუი დე მონტესკიე
**მოუთმენლობა გულისა,** შტეფან ცვაიგი
**მოწყენილობა,** ალბერტო მორავია
**ორი რომანი,** მიგელ დელიბესი
**პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი,** ვიქტორ ჰიუგო
**მოთხრობები,** ალექსანდრე პუშკინი
**რჩეული მოთხრობები,** ჯონ გოლზუორთი
**სატანის ელექსირები,** ერნსტ ჰოფმანი
**საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან,** მარგერიტ დიურასი
**ქალთა ბედნიერება,** ემილ ზოლა
**ღამეული გართობა,** რაფაელ საბატინი
**წითელი და შავი,** სტენდალი
**ჭრელი საბურველი,** სომერსეტ მოემი
**ჯაშუში,** ჯეიმზ კუპერი
**ლიხტენშტაინი,** ვილჰელმ ჰაუფი
**ჰუსარი სახურავზე,** ჟან ჟიონო

**თითოეულის ფასი – 15 ლარი**

პროფესიული განათლება

# სწავლების ინოვაციური მეთოდები

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში დაგეგმილი ღონისძიებების ფარგლებში, განათლებისა და მეცნიერების მინისტრთან და მთავრობის სხვა წევრებთან ერთად, შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს ეწვია, სადაც მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩვენება, ინფრასტრუქტურული პროექტებისა და სწავლების ინოვაციური მეთოდების პრეზენტაცია გაიმართა.

**გიორგი კვირიკაშვილი:** *„ჩვენ ვიყავით ზუგდიდის უნივერსიტეტში, სადაც ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესო მოდელი ხორციელდება – უმაღლესი განათლებისა და პროფესიული განათლების კომბინირება. ეს არის ის, რაზეც ჩვენი განათლების სისტემა უნდა ავაშენოთ. ძალიან მნიშვნელოვანია მოდელი, როდესაც კერძო სექტორი და სახელმწიფო, ერთად, პარტნიორობით ამზადებენ პროფესიული განათლების მქონე ადამიანებს, რომლებიც უმაღლესი სასწავლებლის დამთავრებისთანავე საქმდებიან. ძალიან კარგია, რომ უნივერსიტეტში ავეჯი და აღჭურვილობა თვითონ სტუდენტების მიერაა შექმნილი. ეს ორმაგად მნიშვნელოვანია, რადგან, ძირითადად, ამ უმაღლეს სასწავლებელში იღებს განათლებას დევნილი მოსახლეობა“.*

**თამარ სანიკიძე:** *„ძალიან მნიშვნელოვან ეტაპზე იმყოფება ზუგდიდის შოთა მესხიას სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი და, რაც მთავარია, პროფესიული საგანმანათლებლო კომპონენტი, რომლისთვისაც ორი წელი ძალიან ინტენსიურად ვემზადებოდით, სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. თვალსაჩინოა გაწეული შრომა – თქვენ ხედავთ ძირითადი კორპუსის სახელოსნოებს, საერთო საცხოვრებელს.*

*შეიძლება ითქვას, რომ ზუგდიდის უნივერსიტეტი სტრატეგიული ადგილია, იქიდან გამომდინარე, რომ აქ ყველაზე მეტი დევნილი სტუდენტია. ამიტომ გახდა საჭირო, რომ უნივერსიტეტში, პროფესიულ სასწავლებელთან ერთად, გაკეთებულიყო საერთო საცხოვრებელი. მსგავსი კომპლექსი შენდება სენაკშიც და ზოგადად იმ რეგიონებში, რომლებსაც სჭირდება პროფესიული განათლება.*

*ვფიქრობ, დღეს შოთა მესხიას სასწავლო უნივერსიტეტი და პროფესიული სასწავლებლები აბსოლუტურად მზად არიან იმისათვის, რომ რეფორმის შემდგომ, გადამწყვეტ ეტაპზე გადავიდნენ. აქედან გამომდინარე, დასაქმებასაც ხელი შეეწყობა და ჩვენი სტუდენტები ნამდვილად შრომის ბაზრისთვის კარგად მომზადებული იქნებიან“.*

**მარიამ გოროზია,** ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტი: *„უნივერსიტეტში ვსწავლობთ არა მარტო თეორიულ, არამედ პრაქტიკულ ნაწილსაც. როცა ამ უნივერსიტეტში მოვედი, მიზნად მქონდა დასახული, გავცნობოდი რა სახის პროგრამით ასწავლიდნენ კრიმინალისტიკის სფეროს . აქ მივიღე არა მარტო თეორიული, არამედ პრაქტიკული გამოცდილებაც, რადგან გვაქვს უახლესი ლაბორატორია“.*

უნივერსიტეტში სრული მზაობა გამოიკვეთა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ინიცირებული დუალური პროფესიული განათლების რეფორმის განსახორციელებლად როგორც თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ისე ადამიანური რესურსებითა და სწავლების ინოვაციური მეთოდებით.

დუალური პროფესიული განათლება გულისხმობს სწორედ დამსაქმებლისა და კერძო სექტორის აქტიურ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში და სასწავლო პროცესის წარმართვას ორ სივრცეში – როგორც საწარმოო პრაქტიკის ობიექტზე, ისე უნივერსიტეტში. პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება კი, თეორიულთან ერთად, პრაქტიკული უნარ-ჩვევების დაუფლებას და დასაქმების მაღალ მაჩვენებელს უზრუნველყოფს.

*„კომუნიკაცია არის უმთავრესი, რამაც ეს რეფორმა წინ უნდა წასწიოს და მისი წარმატება უზრუნველყოს. პირველ განცხადებაში, როცა გერმანული მოდელი ვახსენე, სამწუხაროდ, კარგად არ განვმარტე, რამაც განცხადების სხვაგვარი ინტერპრეტაცია გამოიწვია. გერმანულ მოდელში მე არ მიგულისხმია უმაღლესი განათლების გერმანული მოდელი. მე ვიგულისხმე პროფესიული განათლების გერმანული, დუალური სისტემა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ, რა თქმა უნდა, თან უნდა ახლდეს უმაღლესი განათლების არსებული მოდელის მნიშვნელოვანი რეფორმაც, რადგან სხვა შემთხვევაში ვერ შევძლებთ იმ რესურსის გამოთავისუფლებას, რაც აუცილებელია პროფესიული განათლების გერმანული სისტემის შესაქმნელად. შეიძლება ვიღაც ამას არ დაეთანხმოს, მაგრამ ჩვენ დღეს ვხედავთ, რომ მთავრობა ხარჯავს მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსს იმისთვის, რომ ყოველწლიურად გამოვუშვათ უმაღლეს დამთავრებული ახალგაზრდების ის რაოდენობა, რომელიც სრულად ვერ საქმდება. ბოლო მონაცემებით, რომელიც განათლების სამინისტროსგან მაქვს, 40%-ზე ნაკლებია დასაქმების განაკვეთი იმ ახალგაზრდებისა, რომლებმაც უმაღლესი სასწავლებლები დაამთავრეს. ეს ძალიან დაბალი განაკვეთია, რადგან ნიშნავს, რომ 60% იმ ადამიანებიდან, რომლებსაც განათლება მთლიანად მთავრობამ დაუფინანსა ან თანადაფინანსება გასწია და მათ თავისი ჯიბიდანაც, ხშირად დიდი გაჭირვების ფასად, დააფინანსეს უმაღლესი განათლება, ვერ დასაქმდნენ. უფრო მეტსაც გეტყვით, უმაღლეს დამთავრებულები თავისი პროფესიით დასაქმებასაც ყოველთვის ვერ ახერხებენ. ეს რომ შესაცვლელია, არა მგონია, ვინმეს კითხვა უჩნდებოდეს. ანუ, ჩვენ ყოველწლიურად ვაწარმოებთ უმაღლეს დამთავრებულ ადამიანებს, რომლებიც პოულობენ იმედგაცრუებას, რადგან ვერ საქმდებიან ან უწევთ სხვა პროფილით დასაქმება და შემდეგ გადამზადება, რომელშიც ხშირადაა ჩართული კერძო სექტორი. მე შემიძლია მოგიყვანოთ უამრავი მაგალითი, როცა კერძო კომპანიებს მოუწიათ ფულის გადახდა იმაში, რომ საზღვარგარეთ გაეგზავნათ ჩვენი თანამოქალაქეები, რათა მათ ესწავლათ, მაგალითად, მეცხოველეობის კვების ტექნოლოგია ან ვეტერინარია, ოღონდ, რა თქმა უნდა, თანამედროვე მიმართულებით. ჩრდილს არავის ვაყენებ, მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირად, საქართველოში ვერ ვამზადებთ საერთაშორისო სტანდარტის სპეციალისტს. ამ დროს, ჩვენ ვიხდით ფულს იმაში, რომ ყოველწლიურად გვყავდეს ხუთჯერ მეტი ბანკირი ან დიპლომატი, როცა თითქმის ზუსტად ვიცით, რამდენი დიპლომატი გვჭირდება, რამდენი ბანკირი, ბუღალტერი, ფინანსისტი და ა.შ. საჭიროა რეალურ მოთხოვნაზე დაფუძნებული დაფინანსების სისტემის შექმნა და იმ პროფესიების დაფინანსება, რომლებიც რეალურად გვჭირდება. ჩვენ უნდა ავამაღლოთ პროფესიული განათლების პრესტიჟი. როცა გერმანია ვახსენე, იქ პროპორცია უმაღლეს დამთავრებულებს და პროფესიულ განათლება გავლილებს შორის დიამეტრულად განსხვავდება საქართველოში არსებული პროპორციისგან. გერმანიაში გაცილებით მეტი ადამიანი სწორედ პროფესიულ განათლებაშია ჩართული. ამ მხრივ, ჩვენ უნდა დავაფინანსოთ კერძო სასწავლებლებიც, კერძო ბიზნესი ჩავრთოთ თანადაფინანსების სისტემაში და გაცილებით ეფექტიანად დავხარჯოთ ის რესურსი, რაც გაგვაჩნია. გარკვეული რესურსის გადამისამართება მოგვიწევს უმაღლესი განათლებიდან პროფესიულ, დუალურ განათლებაზე და გარკვეულ უმაღლეს სასწავლებლებს, რა თქმა უნდა, მოუწევთ რეპოზიციონირება, რათა შეძლონ დაფინანსების ახალ სისტემაზე რეაგირება, პროფილის შეცვლა და სპეციალისტების მოწვევა, რათა მომავალშიც მიიღონ დაფინანსება, მაგრამ უკვე სხვა პროფილით. რა თქმა უნდა, ჩვენ საზოგადოებასთან ამაზე დიალოგი გვექნება.“* – განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა რადიო თავისუფლებისთვის მიცემულ ინტერვიუში.






სერიის ფასი – 17.70ლ



ქართული ენის კრებულები

ერთიანი სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრამატიკის თეორიული კურსი და სავარჯიშოები.

ნამდვილი და მოგონილი ამბები

სერია „ნამდვილი და მოგონილი ამბები“ შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „კითხვის საათის“ სპეციფიკის გათვალისწინებით. წიგნებში მოცემულია: სახალისო აქტივობები, მარტივი ინსტრუქციები, ასაკისთვის შესაბამისი ენით დაწერილი საბავშვო ტექსტები, რაც დაეხმარება კლასის დამრიგებელსა თუ მშობლებს, განუვითარონ ბავშვებს წერის, კითხვისა და მეტყველების უნარ-ჩვევები.

სერიის ფასი – 30.40ლ



სიახლე

წიგნის თარო

მოემზადეთ საატესტატო გამოცდებისთვის

კრებულში შესულია პროგრამით გათვალისწინებული თეორიული მასალა და ტესტები. გარესაფხეკი ფენის ქვეშ მოთავსებულია უნიკალური კოდი. ეს კოდი შეიყვანეთ სპეციალურ აპლიკაციაში, რომელიც განთავსებულია გამომცემლობის ოფიციალურ Facebook გვერდზე

fb.com/bakursulakauripublishing

ერთი კოდის გამოყენება შეუძლია მხოლოდ ერთ მომხმარებელს. ელექტრონული ტესტები შეიძლება ჩააბაროთ როგორც თემების მიხედვით, ასევე შერეულად.

გაიხსენეთ თეორიული მასალა ამ წიგნის მიხედვით და მოაწყვეთ საატესტატო გამოცდის სიმულაცია სახლში!



თითოეული კრებულის ფასი – 9.90ლ



ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X


CMYK